# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 ოქტომბერი 2007 №246 (3169) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკის

# ტოპმიოლერი რჩება, მაგრამ ტოპმიოლერი უნდა წავიდეს!

## რა იუარა კლაუსმა თურქებისგან და რას სთავაზობს კაიზერსლაუტერნს

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს უკვე შეუთანხმდა და გერმანელს კონტრაქტს გაუხანგრძლივებენ — წერს „კიკერი“.

ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტა ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივა უფროა, მაგრამ...

მოდით, ამაზე აქ სიტყვას ნულარ შევაჩერებთ და ისიც ვთქვათ, შოტლანდიასთან მატჩის მერე ძნელად რომ ვინმეს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელებაში ეჭვი შეჰპარვოდა.

ოლონდაც, ნიშნავს თუ არა, ჰერ კლაუსისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზება მისი შტაბის წევრთათვის კონტრაქტების ავტომატურად გაგრძელებას? თუ ნიშნავს, ჩვენი დამოკიდებულება შეგიძლიათ, „სარბიელის“ მეოთხე გვერდზე ამოიკითხოთ...



კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები




# ბაიერნი, მილანი და მადლობა!

გუშინდელ „კიკერში“ საინტერესო სტატია დაიბეჭდა კლაუს ტოპმიოლერის შესახებ. პოპულარული გერმანული გამოცემა საქართველოს ნაკრების სურვილმა დააინტერესა. კერძოდ, ტოპმიოლერმა მეორე ბუნდესლიგაში ჩაძირულ „კაიზერსლაუტერნს“ უხელფასო სამსახური შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ „კაიზერსლაუტერნი“ ტოპის მშობლიური კლუბია, დახმარება კი, „კიკერისვე“ ცნობით, რჩევებით უნდა შემოიფარგლოს...



kicker ONLINE

*კლაუს ტოპმიოლერი ბუნდესლიგაში ფრანკფურტის „აინტრახტის“, „ბოხუმის“, ლევერკუზენის „ბაიერისა“ და „ჰამბურგის“ მწვრთნელი იყო, ამჟამად კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობს.*

*მას ძალიან აღარდებს თავისი ყოფილი კლუბის, „კაიზერსლაუტერნის“ ბედი, რომელიც არცთუ კარგად თამაშობს მეორე ბუნდესლიგაში და ცოტა ხნის წინ დახმარების შეთავაზებამაც არ დააყოვნა.*

*ტოპმიოლერი შაბათს დაბრუნდება გერმანიაში და „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელებიც სულმოუთქმელად ელიან მას.*

*„კიკერი“ ტოპის თბილისში ესაუბრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება „წითელი ეშმაკების“ დახმარება...*

# რას ეტყვის კაიზერი კლაუს ტოპმიოლერს?

— ბატონო კლაუს, რატომ გადაწყვიტეთ „კაიზერსლაუტერნის“ დახმარება?

— ყველა ხედავს, როგორ უკანუკან მიდის ამ კლუბის საქმეები. ობერლიგაში გადასვლა კი ამ კლუბისთვის არსებობის ყველანაირ აზრს დაკარგავს.

— ასე აფასებთ ობერლიგას?

— იქ ყოფნა ნამდვილი უიმედობაა.

— და როგორ შეძლებთ მათ დახმარებას?

— როგორც სპორტული მრჩეველი. ბუნდესლიგაში ჩემი მუშაობისას ბევრჯერ დავამტკიცე, რომ გუნდის შეკვრა და წარმატების მიღწევა შემიძლია, ასე რომ...

— როცა ყოფილი მოთამაშე დახმარებას ყოფილ გუნდს სთავაზობს, ისე ჩანს ხოლმე, თითქოს იგი ისეთ სამსახურს ეძებს, რომელიც კარგად ანაზღაურებადი იქნება. ახალ სამსახურს ეძებთ?

— არავითარ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებთან ჩემი კონტრაქტი 31 დეკემბერს მთავრდება და მის გაგრძელებაზე უკვე ქვეყნის სპორტის მინისტრსაც ვესაუბრე და შევთანხმდით. ამ შეთანხმების დარღვევას არც ვაპირებ. მე უკვე განვმარტე, რომ შემეძლო, პარალელურად, ჩემს „კაიზერსლაუტერნსაც“ დავხმარებოდი რჩევებით.

— ანუ თქვენს დაბრუნებაში ფული არაფერ შუაშია?

— მე ფული კი არა, მათი დახმარება მინდა, აქეთ გადავიხდი, თუ საჭირო გახდა, რათა უკან არ გადავინაცვლოთ. ეს საკმაოდ ძნელი იქნება და ფული რომ მაინტერესებდეს, მაშინ თურქეთში წავიდოდი, სადაც წელიწადში 1,5 მილიონ ევროს მთავაზობენ. მაგრამ არ მინდა.

— და რა უნდა შეიცვალოს „კაიზერში“?

— მათი შეფი ერვინ გიობელი იყო მაისში ჩემთან და მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზა, მაგრამ რადგანაც საქართველოში ვმუშაობდი, კონტრაქტის გაწყვეტაზე არც მიფიქრია და უარი ვუთხარი.

— ახლა თქვენ მათ ხელს უწვდით და რა მოხდება, თუ ისინი ამას არ მიიღებენ?

— თუ ისინი უარს იტყვიან, მაშინ მხოლოდ მათი გულშემატკივრობა დამრჩება და იმის ნატვრაც, რომ კიდევ უფრო ქვემოთ არ ჩავარდნენ.

— და მაინც: რაა შესაცვლელი კლუბში?

— პირველ რიგში, ფინანსური პრობლემა უნდა გადაწყდეს და გუნდის ამ წუთიდანვე გაძლიერებაა საჭირო, რაც ზამთრის შესვენებაზეც უნდა გაგრძელდეს. ასეთი გუნით თავის გატანა და მიზნის მიღწევა შეუძლებელია.



კლაუს ტოპმიოლერი „კაიზერსლაუტერნის“ კაპიტანიც გახლდათ

# ფუტსალი ჩაცმაზე დაფიქრდა ორი ქართველი ბენფიკაში?

**საქართველოს** ფუტსალის ასოციაცია მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიურ კომპანია LEGEA-სთან, დანიურ HUMMEL-თან და შვედურ SALMING-თან ეკიპირების თაობაზე.

ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის ბექა კვიციანის თქმით, ქართულ მხარეს ყველაზე კარგ პირობებს იტალიური კომპანია სთავაზობს.

საქართველოს ფუტსალის ასოციაციის საბოლოო არჩევანი დაახლოებით ერთ თვეში გაირკვევა.

და ერთიც: ასოციაცია მოლაპარაკებას აწარმოებს პორტუგალიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ ლისაბონის „ბენფიკასთან“, რათა ორმა ქართველმა ფეხბურთელმა, 16 წლის მეკარე დავით კეფაშვილმა და მისმა თანატოლმა დავით წინწკალაძემ, ორკვირიანი სტაჟირება გაიარონ ამ კლუბში.

შეგახსენებთ, რომ ფუტსალში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 7 და 8 ნოემბერს, სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს გაეჯიბრება.

**ბაჩა შალამბერიძე**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

გორი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

## სპარტაკი 2:1 ამერი

1:0 ჯანელიძე (18), 2:0 ჩირიკაშვილი (58), 2:1 დიდავა (67)

**სპარტაკი:** ქვილითაია, ბახტურიძე, ხაჭიპერიძე, ქემოკლიძე, ხიდეშელი (ტატაევი 90), მამუკაშვილი, ჯანელიძე, ჩირიკაშვილი, გოგოხია, ძარია, კუპრეიშვილი (კეტაშვილი 70)
სათადარიგონი: კოდალაევი, მედოევი, გოგოლაძე, დარბაიძე, გ. თურმანიძე
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**ამერი:** ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, მესხი (დეკანოსიძე 46), ა. ალავიძე (დიდავა 46), ბოლქვაძე (ს. დავითაშვილი 60), დოლიძე, რ. გოცირიძე, ტატანაშვილი
სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, ჯელაძე, შალამბერიძე, კობაური
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** ბოლქვაძე (60)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; ბ. ჭიჭინაძე, დ. გოგოლაძე; გ. ვადაჭკორია

**დამკვირვებელი:** ვ. ქორიძე



# რამ არია ამერი?

**კოტე კეკელია გორიდან**

**ჯგუფში,** რომელშიც თასის მფლობელი თამაშობს, ვითარება გვარიანად დაიძაბა. „სპარტაკმა“ „ამერს“ პირველი მარცხი აგემა და თუ ვივარაუდებთ, რომ დღეს „მესხეთი“ „ტორპედოს“ მოუგებს, პირველი წრის მერე სამი 6-ქულიანი გუნდი შეგვრჩება. ეს გარემოება კი უაღრესად დაძაბულ მეორე სათასო წრეს გვპირდება.

გორული თამაში კი მოკლედ ასე შეგვიძლია აღვწეროთ: „ამერი“ ბევრს უტევდა, „სპარტაკი“ საკუთარ საჯარიმოში იდგა და კონტრიერიშებით ცდილობდა ჩხვლეტას.

სწორი ტაქტიკა იყო. მასპინძელთა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმაც ნამატჩევს დაგვიდასტურა, „ამერი“ უკეთ დაკომპლექტებული, გამოცდილი, ძლიერი გუნდია და თუ თამაშს არ ჩავკეტავდით, კარის დაცვა გაგვიჭირდებოდაო.

„სპარტაკი“ ამგვარი ტაქტიკით რომ ითამაშებდა, ძნელი გამოსაცნობი სულაც არ იყო და გიორგი ჩიხრაძემაც შეტევის გასაძლიერებლად მისთვის ჩვეული ოთხი მცველის ნაცვლად სამით ითამაშა და ნახევარდაცვას ერთი ფეხბურთელი მიამატა.

საბოლოოდ, მატჩის ბედი მწვრთნელთა დუელმა კი არა, მოთამაშეთა უბრალო შეცდომებმა გადაწყვიტა.

დავით ჯანელიძემ ირაკლი ძარიასგან მიიღო პასი და ძალიან უბრალოდ დარჩა მეკარესთან პირისპირ — 1:0. ხოლო მეორე გოლისას ირაკლი ჩირიკაშვილმა ისე გაირბინა ლამის ნახევარი მოედანი და ისე შემოურბინა სამ ამერელს, ალბერტო ტომბას შეშურდებოდა — 2:0.

„სპარტაკის“ მეტოქეთა საყურადღებოდ: ჩირიკაშვილი ჯარიმებსაც ძალიან სახიფათოდ ურტყამს.

ამერელთა დარტყმულებიდან პირველ ტაიმში კარის ჩარჩოში ერთიც არ წასულა, თუმცა ბოლქვაძემ, დავითნიძემ და ელბაქიძემ კარისკენ რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს. დავაკვირდეთ: არც ერთი მათგანი თავდამსხმელი არ არის. თავდამსხმელმა კარისკენ პირველად 45-ე წუთზე დაარტყა.

და ერთიც: „ამერმა“ რამდენჯერმე ძალიან კარგი კომბინაცია წამოიწყო. ისეთი კარგი, გოლით რომ დასრულებულიყო, ვინძლო მასპინძელთა ქომაგებსაც ტაში დაეკრათ, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე უხეიროდ მთავრდებოდა.

მეორე ტაიმში „ამერი“ კიდევ უფრო აგრესიული გახდა, „სპარტაკი“ კი კიდევ უფრო ჩაჯდა დაცვაში. ამერელები უფრო ზუსტადაც უმიზნებდნენ და ბურთი 9-ჯერ გაგზავნეს მაქსიმე ქვილითაიას კარში. ყოველი დარტყმა სახიფათო კი იყო, მაგრამ ქვილითაიაც საიმედოდ იცავდა კარს.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ცამეტიოდ წუთში კი ჩირიკაშვილის ზემოთ ნახსენები გოლიც გავიდა და „ამერის“ ამოცანაც როგორმე ფრის მიღწევამდე დავიდა.

„ამერმა“ მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა. გივი დიდავამ ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს გვერდიდან შემოატარა და ძელის სიახლოვეს შეაგდო. ამის მერე „ყვითლებს“ ისეთი მომენტებიც ჰქონდათ, გოლამდე ბურთზე ერთი უბრალო მირტყმაღა რომ რჩებოდა, მაგრამ...

90-ე წუთზე „ამერს“ ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა: სულიკო დავითაშვილმა ბურთი მიიღო, გაისწორა და... დაეცა. „აბრეზა“ მოედნიდან გასაყვანი შეიქნა და ნამატჩევს ავტობუსისკენაც კოჭლობით, კუნთზე ყინულდადებული წავიდა.

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 11:3 | 6 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ტორპედო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



მალხაზ ასათიანი და გიორგი მაკარიძე



# მილანი, ბაიერნი და მადლობა

## მალხაზ ასათიანი: ჩვენ შევძლით!

მალხაზ ასათიანს თამაშის დალაგება, შეტევის წამოწყება და გუნდის დირიჟორობა საუცხოოდ რომ ეხერხება და გული უფრო მეტოქის კარისკენ მიუწევს, ეს არახალია და შოტლანდიასთანაც ვნახეთ, როცა რამდენჯერმე ბურთი ამოიტანა საჯარიმოდან და იერიში წამოიწყო. მოსკოვის „ლოკომოტივში" მცველად ქცეული ნაკრებშიც გაამცველეს, მაგრამ დირიჟორობა მაინც გასწია სქოთებთან მატჩში — სარბენ ბილიკებზე ბურთისთვის გადასულმა ასათიანმა ხელების მოძრაობით გულშემატკივრებს უდირიჟორა, რაც გერმანელმა მსაჯმა ყვითელ ბარათად შეუფასა... გუშინ მოსკოვში დავუკავშირდით მალხაზ ასათიანს, ვისითაც რამდენიმე დღის წინ „მილანი" დაინტერესდა, ხოლო ახალთახალი ცნობით, „შავ-წითლებს" მიუნხენის „ბაიერნიც" ჩაუზიარდა...

— „მილანის", „ბაიერნისა" და კიდევ სხვა დიდი გუნდების ინტერესის თაობაზე მხოლოდ პრესიდან ვიცი. რუსულ გაზეთებშიც ხშირად ვკითხულობ, რომ ჩემი გადაბირება სხვადასხვა გუნდებს სურთ, მაგრამ შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით მე არავინ დამკავშირებია და ნამდვილად არ ვიცი, რეალურად რა ხდება.

— კლუბშიც არაფერი უთქვამთ?

— არაფერი. „ლოკომოტივს" ევროსაგზურის მოპოვებისთვის ახლა გადამწყვეტი ბრძოლები აქვს და სატრანსფერო ამბებზე ჯერ არავინ ფიქრობს.

— რუსეთის ჩემპიონატი მალე დამთავრდება. რას აპირებ?

— დასვენებას.

— და „ლოკომოტივიდან" წასვლაზე არ ვფიქრობ?

— როგორ გითხრათ, „ლოკომოტივთან" კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაქვს. ისე კი, მართლაც სასიამოვნოა, თუ სახელოვანი უცხოური გუნდები ჩემი გადაბირებით არიან დაინტერესებულნი.

— რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შენს შესაძლო ტრანსფერზე ალბათ უფრო მეტი გეცოდინება. იქამდე კი, მოდი, საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ. როგორ ფიქრობ, შოტლანდიასთან მოგება შემთხვევითობა უფრო იყო თუ...

— არა, ჩვენ მოგება დავიმსახურეთ. შოტლანდიელებს მთელი მატჩისას საგოლედ ერთი ნაღდი მომენტიც არ ჰქონიათ. საქართველოს ნაკრებმა სტუმრებს ყველა საფეხბურთო კომპონენტში აჯობა. ჩვენ დავიმსახურეთ და მოვიგეთ. სხვა მატჩებშიც უნდა მოგვეგო, მაგრამ არ გვიმართლებდა. შოტლანდიელებთან მოგება, ჩემი აზრით, კანონზომიერი იყო. გუნდიდან არავის გამოვარჩევ, ყველამ საუცხოოდ ითამაშა. ჩვენი ეროვნული გუნდისთვის ეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. თუნდაც ის რად ღირს, რომ სტადიონზე ამდენი ხალხი მოვიდა...

— შენ კი მატჩის ბოლოსკენ აუტის ჩაწოდების ნაცვლად მათ კიდევ უფრო აყოლიებას ცდილობდი...

— იმ დროს უკვე დარწმუნებული ვიყავი ჩვენს გამარჯვებაში, ძალიან მიხაროდა და ხალხისთვის მადლობის თქმა მსურდა. ქომაგი სტადიონზე მოვიდა, ჩვენი ირწმუნა და, ვფიქრობ, კარგი თამაშით ვუპასუხეთ. აქამდე კი ჩვენი ქომაგები, მგონი, სულ იმაზე ფიქრობდნენ საქართველოს დიდი ანგარიშით არ წაეგო. ყველაფერი კარგად დამთავრდა და მჯერა, მომავალშიც ასე იქნება.

— რას ველოდოთ მომავალ შესარჩევ ციკლში?

— კარგ თამაშს და ბრძოლისუნარიან საქართველოს ნაკრებს. შოტლანდიასთან მატჩმა, ვფიქრობ, ყველა დაარწმუნა, რომ ჩვენს გუნდს შეუძლია ნებისმიერ მეტოქესთან კარგად თამაში და მოგება.

— ამასწინათ, პრესკონფერენციაზე კლაუს ტოპმიოლერმა თქვა, დაცვის ცენტრში კალაძე-ასათიანის წყვილი მსოფლიოში საუკეთესოდ მიაჩნიაო. შენ რას იტყვი?

— ვერაფერს, მადლობის მეტს. კლაუს ტოპმიოლერი მართლაც ძალიან ძლიერი მწვრთნელია და როცა ასეთი კაცი ამას ამბობს, სათქმელიც რა მაქვს, მხოლოდ მადლობა. ასეთი სიტყვები ჩემთვის დამატებითი სტიმულია და ვეცდები, მომავალში კიდევ უფრო უკეთ ვითამაშო.

**კობა ინასარიძე**

# ჩვენი ბედი: ექვსიდან მეხუთეში

## საქართველოს მუნდიალის შესარჩევი მეხუთე კალათა უწერია

**25 ნოემბერს** დიდი ვნებათაღელვა იქნება: სამხრეთ აფრიკაში მუნდიალ 2010-ის შესარჩევი ციკლის კენჭისყრაა და კიდევ ერთი იმედი, კიდევ ერთი, „აბა, ვნახოთ, ვინ შეგვხვდება"...

უკვე ცნობილია ევროპის ზონიდან მუნდიალზე გასვლის სისტემა: 53 ქვეყანა 9 ჯგუფად გადანაწილდება. აქედან რვა ჯგუფი ექვსგუნდიანი იქნება, ერთი კი — ხუთგუნდიანი.

გამარჯვებულები პირდაპირ გავლენ მუნდიალზე, რვა საუკეთესო მეორეადგილოსნიდან კი ოთხი წყვილი შედგება და მოგებულებიც სამხრეთ აფრიკის საგზურს დაიბევებენ. მოკლედ, უცუდესი მეორეადგილოსანი უშანსოდ რჩება.

ამ სისტემას ბევრი ოპონენტი ჰყავდა და სამართლიანადაც, თუმც ეს უფრო ფიფას ახირე ის ბრალია — ევროპას კიდევ დააკლეს ერთი ადგილი, 13 დაუტოვეს.

არადა, პარადოქსია, 2006 წლის მუნდიალი ლამის ევროპის ჩემპიონატად იქცა და პირიქით, აქეთ დააკლეს „ბებერ კონტინენტს" საგზური.

53 ქვეყანა 6 კალათაში გადანაწილდება და თითქმის ასპროცენტიანია, რომ საქართველო მეხუთე კალათაში იქნება. ამჯერად საქართველო 43-ეა ევრორეიტინგში და ლიტვასთან რომც წააგოს (ან ფრედ ითამაშოს), მეექვსე კალათაში დაქვეითება არ ემუქრება.

პირიქით, არის შანსი (ოღონდ ძალიან მცირე), რომ ჩვენები მეოთხე კალათაში აძვრნენ. ამისთვის ალბანეთმა და ბელარუსმა დარჩენილი ორივე ევროშესარჩევი მატჩი უნდა წააგონ, პლუს უნდა წააგონ მეხუთეკალათიანებმაც — ირლანდიამ, მოლდოვამ, ლატვიამ და, თავისთავად, ლიტვამ.

სადღეისო მონაცემებით კი, საქართველოსთან ერთად ჯგუფში ვერ მოხვდებიან ირლანდია, მოლდოვა, ლიტვა, ავსტრია, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლატვია და ყაზახეთი.

მეექვსე კალათაში ყველასთვის არასასურველი მეტოქე ჩერნიგორიაა, დანარჩენები კი... მალტა, ესტონეთი, ლიხტენშტაინი, ანდორა, ლუქსემბურგი, სან მარინო და ფარერები...

**ილია ნანობაშვილი**

# უეფამ, თბილისში უეფა არაო შანსი 2012 წლიდან

**სამწუხაროდ**, იმის შანსი, რომ 2010 ან 2011 წლის უეფას თასის ფინალი თბილისის „ეროვნულზე" გაიმართებოდა, აღარ არის. ეგებ, შანსის ნაცვლად, იმედი უნდა გვეთქვა, მაგრამ ვიყოთ რეალისტები — რაც უნდა კოხტა სტადიონი გვქონდეს, საქართველო ჯერ არ არის იმ დონის ქვეყანა, რომ უეფამ გარისკოს ამხელა რანგის მატჩის აქ გამართვა. ანუ, მარტო სტადიონი ვერ მოიგებს კონკურსს.

არადა, ეროვნული სტადიონი წინასწარ 11 კანდიდატს შორის იყო. თუმც უეფამ მათგან უკვე 6 დატოვა: ლონდონის „ეშბარტონ გროუვი", გელზენკირხენის „აუფ შალკე", ბარსელონას „ოლიმპიკო დე მონჟუიკი", ჰამბურგის „აოლ არენა", დუბლინის „ლენდსდაუნ როუდი" და ბუქარესტის „ნაციონალი".

უეფა საბოლოო არჩევანს გაისად, 27-28 მარტს, ლიხტენშტაინში გასამართ სხდომაზე გამოიტანს. პრიორიტეტი კი ენიჭება სტადიონის ტევადობას, ინფრასტრუქტურას, ფუნქციონალობას, უსაფრთხოების გარანტიას, იურიდიულ დოკუმენტაციას და ტურისტებისთვის ქალაქში კეთილმოწყობის გარანტიას.

უეფას თასის მსგავსად, 2010 და 2011 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალის კანდიდატი სტადიონებიც გაცხრილეს და ხუთიღა დარჩა: ვალენსიის „მესტალია", მიუნხენის „ალიანს არენა", მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუ", ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი" და ლონდონის „უემბლი".

ლიგის ფინალის მასპინძლებიც იმავ დღეს გამოცხადდება, ანუ 27-28 მარტს.

ეს, რაც შეეხება 2010 და 2011-ს. უახლოეს ორ წელიწადში კი ჩემპიონთა ლიგის ფინალს მოსკოვის „ლუჟნიკი" (2008) და რომის „სტადიო ოლიმპიკო" (2009), უეფას თასის ფინალს კი მანჩესტერის „სიტი ოფ მანჩესტერი" (2008) და სტამბოლის „შიუქრუ სარაჩოღლუ" (2009) უმასპინძლებენ.

ჩვენს „ეროვნულს" კი 2012 წლიდან ექნება შანსი...

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1990 წელს დაბადებულები**

პირველი წრე

**აღმოსავლეთი ზონა**

**ნ. დინამოელი 1:4 ლოკომოტივი**

**ოლიმპი 1:0 ვიტ ჯორჯია**

**ოლიმპი 2 7:1 ერთობა**

**სიონი 4:1 ავაზა**

**დასავლეთი ზონა**

**მერთვე 0:1 ზესტაფონი**

**მგლები 3:1 ბათუმი**

**მესხეთი 0:2 დილა**

**სპარტაკი 1:3 ბორჯომი**

# 2008 წლის ევროპის U19 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



თბილისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 1 000 მაყურებელი

## საქართველო 0:2 ლატვია

| | |
|---|---|
| 0:1 სინელნიკოვსკი (53), 0:2 კალნინსი (73) | |
| **საქართველო:** მაკარიძე, ბენაშვილი, ვაჩიბერაძე, ხუმარაშვილი, გაბუნია, ჩარგეიშვილი, ივანიშვილი, თარხნიშვილი, ბეგლარიშვილი, თარგამაძე, ბლაგიძე (შეყილაძე 65) სათადარიგონი: რ. კვასხვაძე **მწვრთნელი:** ჰაინც ტოპმიოლერი | **ლატვია:** პორტნიოსი, მეში, სეველოსი, შმილხი (რაკლინსკისი 89), დუბრა, გ. კრილოვსკი (პრიედენსი 69), გრამოვიჩი, კალეგიანიანსი, აგაფონოვსი, სინელნიკოვსკი (პალევოისი 79), კალნინსი სათადარიგონი: ბელმე, ოსიპოვსი, კორსაკოვსი **მწვრთნელი:** ანდრეის კარპოვსი |
| **გაფრთხილება:** გავრილოვსი (37), გაბუნია (47), სინელნიკოვსი (52), ჩარგეიშვილი (71) | |
| **მსაჯები:** ა. სტავრევი (მაკედონია); მ. კიროვსკი (მაკედონია), ვ. ტოტი (უნგრეთი), ლ. ვადი (უნგრეთი) | |
| **უეფას დელეგატი:** მ. ნობსი (შვეიცარია) | |

# ფაფუ

## უკვე დროა, ვთქვათ: ჰაინც ტოპმიოლერი უნდა გადადგეს!

**ილია ნანობაშვილი**

**გახსოვთ**, როგორ დაიწყეს ქართველებმა ჯგუფური ეტაპი? ჰოლანდიასთან საწყის ნახევარ საათში კარგი ფეხბურთი ითამაშეს, გოლიც გაიტანეს და... ფაფუ, მორჩა, იმ ნახევარი საათის მერე 60 წუთი და კიდევ ორი მატჩი ჩაატარეს, მაგრამ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ფეხბურთი აღარ უთამაშია.

ჰოლანდია-ნორვეგიასთან წაგებას ვინ ჩივის, თავს როგორღაც გაიმართლებ, მაგრამ ეს რა ვნახეთ ლატვიასთან...

ნორვეგიასთან თამაშის მერე დავწერეთ, ზოგიერთ ჩვენიანს ეტყობოდა, პირველად იყვნენ მინდორზე გასულებიო — ძალიან არ გვინდა, პატარა ასაკის ფეხბურთელზე ასე ვილაპარაკოთ, მაგრამ სტადიონზე მისულ თუნდაც ათასამდე გულშემატკივარს რატომ აყენებენ შეურაცხყოფას?!

არადა, ქართველთა მეტოქე ის ლატვია იყო, რომელმაც ნორვეგიასთან და ჰოლანდიასთან უშანსოდ წააგო. ვიცით, რა ძალას წარმოადგენენ ჩვენი 19-წლამდელებისთვის ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე, მაგრამ რა, ესენი თუ არ გყავს, ესე იგი, ფეხბურთი აღარ უნდა ითამაშო?!

საინტერესოა, რისთვის ჩამოიყვანეს შორეული პორტუგალიიდან ლევან ბლაგიძე, ამ ყმაწვილის ვერაფერი გავიგეთ, ბურთი თითქმის არც მიუღია. არა, ბლაგიძეს კი არ ვაბრალებთ რამეს, რაც არ იცის, ვერც მას მოსთხოვ და ვერც მის რამდენიმე თანანაკრებელს — ეს მწვრთნელის უხეირო სელექციის ბრალია.

და სულაც არ გვერიდება იმის თქმა, რომ ჰაინც ტოპმიოლერზე გაცილებით კომპეტენტური და მცოდნე მწვრთნელები საქართველოშიც მოიძებნებიან.

...მივყვეთ თამაშს, რომლის პირველმა ტაიმმა ქართველთა უპირატესობით კი ჩაიარა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ აწრიალდა ლატვიელთა მეკარე, როცა ალექსი ბენაშვილმა საჯარიმო ააცილა.

ზაქარია ბეგლარიშვილმა და დავით თარგამაძემ ტექნიკაში აშკარად დაჯაბნეს მეტოქის მცველები, თუმც ამყოლი არ გამოუჩნდათ და დაიღალნენ, გაწყდნენ წელში.

თარგამაძე ცალკე თემაა — ის „ფრაიბურგის" ახალგაზრდული გუნდის წევრია, ნამდვილად ნიჭიერია, ტექნიკაც აქვს და სისწრაფეც, თუმც მეტი აზროვნება უნდა დაატანოს თამაშს, თორემ რა გამოდის, სამ-ოთხ კაცში გაძრომას თარგამაძე კი არა, ანრი და კაკა ვერ ახერხებენ.

ბეგლარიშვილი ერთი-ორჯერ ნიავივით შეშრიალდა ლატვიელთა საჯარიმოში, თუმც ზუსტი დარტყმები ვერ მიაყოლა. რაც შეეხება გიორგი ივანიშვილს, ჯგუფის სამივე მატჩის პირველ 20-25 წუთში სასარგებლო იყო, თუმც მერე ილღება, თანაც, ვერ დავითვალეთ, რამდენი ამპლუა გამოუცვალა მას ჰაინც ტოპმიოლერმა.

...ლატვიელთა გოლებზეც ვთქვათ: 53-ე წუთზე თარგამაძემ ცენტრში დაკარგა ბურთი, რასაც უსწრაფესი კონტრშეტევა მოჰყვა, რაივო კალნინსმა მარჯვნიდან მეკარის ბაქანში ჩააწოდა და ალანს სინელნიკოვსმა ახლოდან შეაგდო. 73-ე წუთზე კი კალნინსმა მარცხენა ფრთაზე მოჰპარა ბურთი ქართველებს და კარიდან წინ გამოსულ გიორგი მაკარიძეს ლამაზად გადაატარა ბურთი — მაკარიძე კი ვახსენეთ, მაგრამ იგი ორივე მომენტში უბრალო იყო.

ჩვენი ყმაწვილები კი მიაწვნენ მეტოქეს, მაგრამ ოდენ თამაზ ჩარგეიშვილის ძელსმორტყმულ ბურთს და თარგამაძე-ბეგლარიშვილის უნაყოფო დრიბლინგებს დასჯერდნენ.

ეს იყო და ეს.

# ჰოლანდიის კარში სატყუარა იდგა

რუსთავი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი

## ნორვეგია 3:1 ჰოლანდია

| | |
|---|---|
| 0:1 დე იონგი (11), 1:1 ხალილი (14), 2:1 ფლო (31), 3:1 აასი (52) | |
| *ზეეფუკმა ვერ გაიტანა პენალტი (59, მეკარე)* | |
| **ნორვეგია:** სტუბჰაუგი, ჰოვლანდი, ფლო, ეელესტადი, ანდერსენი, კარლსენი (კამარა 86), აასი, ლარსენი, ბენდიგსენი (ბოლდტი 90), ხალილი *სათადარიგონი: ჰანსენი; რამსტადი, ჰენრიკსენი, ვალო, ჰოილანდი* **მწვრთნელი:** ტორ ოლე სკულერუდი | **ჰოლანდია:** კოტსერი, ჰორტენი, ტერ ჰორსტი, დროსტე, ვან დიერმენი (მატიჩი 80), ფერი (მაგუირი 65), ბლინდი, დე იონგი, ჰუტკოპი, რეიმერნიკი (ვან დერ ბერგი 19), ზეეფუკი *სათადარიგონი: მულდერი; ლიმა* **მწვრთნელი:** ვიმ ვან ცვამი |
| **გაფრთხილება:** ანდერსენი (89), ბლინდი (89) | |
| **მსაჯები:** მ. მიკოლაევსკი, კ. მურმუსი (ორივე პოლონეთი), გ. ყრუაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე საქართველო) | |

**ნუკრი ლოლაძე რუსთავიდან**

**ამ** გუნდებმა მომდევნო ეტაპზე გასვლა გაინაღდეს და ერთმანეთთან ისღა ჰქონდათ გასარკვევი, რომელი იქნებოდა ჯგუფში პირველი.

ჰოლანდიელებს მთავარი დამრტყმელი ძალა დააკლდათ, საყრდენი ჯორჯინიო ვიინალდუმი. მან ტრავმა ლატვიასთან შეხვედრაში მიიღო, „ნარინჯისფერთა" თავკაცმა ვიმ ვან ცვამმა ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელიც დაასვენა, მათ შორის, მეკარე ერვინ მულდერი, რამაც დიდი გავლენა იქონია შედეგზე.

მივყვეთ თანმიმდევრულად...

თავიდან ჰოლანდიელები დაწინაურდნენ. მე-11 წუთზე ნორვეგიელები თავიანთ საჯარიმოსთან დაჯარიმდნენ და სიემ დე იონგმა ბრწყინვალედ დაარტყა — 1:0.

ანგარიში მალევე გათანაბრდა. მელვინ კოტსერმა ფეხით ცუდად მოიგერია და ნორვეგიელებს შეტევის საშუალება მისცა. საჯარიმოში ჩაწოდებულზე კოტსერმა გამოსვლაც დააგვიანა და არამ ხალილმაც თავზე გადაავლო ბურთი — 1:1.

ამ გოლის შემდეგ რამდენიმე წუთი თანაბარი თამაში იყო, შემდეგ კი ნორვეგიელების უპირატესობა გამოიკვეთა.

კუთხური, ისევ შეცდა მეკარე, თუმც სონდრე აასის თავური კარს ასცდა.

ცოტა ხანში ფრედრიკ კარლსენის დარტყმული ვერ მოიხელთა კოტსერმა, ბურთისკენ პეტერ ლარსენი გაემართა, მაგრამ დე იონგმა მოცელა და პენალტი ეგილ ფლომ აქცია გოლად — 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე კოსტერი „ჩვეულად" გაისარჯა — შორიდან დარტყმული ბურთი ისევ გაუვარდა და აასმაც გაასამა.

ჰოლანდიელებმა შეუტიეს და ზეეფუკი ლარსენმა საჯარიმოში დასცა. პენალტი თავად ზეეფუკმა დაარტყა, თუმც მეკარემ არ გაატანინა.

70-ე წუთზე ანდერსენმა მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა, იქ ხალილმა ბურთს თავი შეაგება, მაგრამ ხარიხას გაარტყა.

ზეეფუკს ორჯერაც მიეცა გატანის რეალური შანსი, მაგრამ ერთხელაც ვერ იხეირა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

# უცნაური დღეები

## რა არის ბრაზილიური ფეხბურთი?



**აი, რას წერს BBC-ს მიმომხილველი ტიმ ვიკერი: „ის, რომ ინგლისელებს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ლიგა გვაქვს სულაც არ ნიშნავს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებიც გვყავს. ფეხბურთის გლობალიზაციამ ეს ორი რამ ერთმანეთს დააშორა. თავად განსაჯეთ, მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ და მხოლოდ 26 ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობს, მაშინ, როდესაც ბრაზილიას ოკეანის გადაღმიდან თითქმის ოთხჯერ მეტი მონაწილე ჰყავს და აქვე უნდა დავძინოთ, რომ იქ კლუბებისა და ნაკრების პრობლემაც სხვანაირად ესმით...**

გასულმა კვირამ მკაფიოდ გამოაჩინა, რომ მცნება „ბრაზილიური ფეხბურთი“ საკმაოდ ბუნდოვანია. იმისთვის, რომ მსჯელობას აზრი მივცეთ, მოდი, განვსაზღვროთ, მაინც რას ნიშნავს ის. რას ვგულისხმობთ, როდესაც ბრაზილიურ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, ნაკრებს თუ ბრაზილიის ჩემპიონატს? დავეთანხმებით, ეს ორი რამ ერთმანეთისგან ფრიად განსხვავდება — გლობალიზაციამ მათ სულ სხვადასხვა მიმართულება მიანიჭა.

ბრაზილიის ნაკრები თავისი მულტიმილიონერი სპონსორებით მსოფლიო ბრენდია, რომელიც ამხანაგურ თამაშებსაც კი ევროპასა და აზიაში ატარებს. ამ გუნდის ფეხბურთელებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ეპყრობიან, როგორც პოპ და კინო-ვარსკვლავებს. მთელ პლანეტაზე, ქუჩებში დადიან ადამიანები, რომელთაც ბრაზილიის ნაკრების ყვითელი მაისურები აცვიათ, მაგრამ ვერსად ნახავთ კაცს, ბრაზილიური კლუბის მაისურა რომ ჰქონდეს მორგებული. საკუთრივ ბრაზილიაში, ქუჩებში დადის უამრავი ადამიანი „მანჩესტერ იუნაიტედის“, „მილანის“, „რეალის“, „ბარსელონას“ და „არსენალის“ მაისურით. ეს გახლავთ მათი კერპების მაისურები, კერპებისა, რომელთაც ბედის საძებნელად ოკეანე გადასერეს.

დღევანდელი ბრაზილიის პირველობა კი ევროპიდან დარჩენილი ნასუფრალით იკვებება. მასში სამი ჯურის ფეხბურთელები თამაშობენ: ყმაწვილები, რომლებიც ევროპაში წასვლაზე ოცნებობენ, ისინი, ვინც ევროპაში უკვე იყო და ან კარიერის დასასრულებლად დაბრუნდა ანაც იქ, უბრალოდ, არაფერი გამოუვიდა და ისინი, ვისაც ევროპელებმა ყურადღება, უბრალოდ, არ მიაქციეს, რადგან საამისოდ არ ვარგოდნენ.

გასულ ოთხშაბათს ბრაზილიამ „მარაკანაზე“ ეკვადორს უმასპინძლა. მეორე დღეს იმავ „მარაკანაზე“ რიოს დერბი გაიმართა: „ფლამენგო“ შეხვდა „ვასკუ და გამას“. რიოში ეს უდიდესი დერბია. და ამ ორმა თამაშმა სრულიად განსხვავებული ხალხი შეჰყარა. ბრაზილიის ნაკრების სანახავად ცხოვრებაში უფრო წარმატებული ხალხი მივიდა, ბევრი ოჯახითაც კი იყო, კლუბების დაპირისპირებას კი თითქოს უფრო ცირკის პუბლიკა უყურებდა — ისინი იაფფასიან ფოკუსებს ითხოვდნენ, ხოლო იმ დიდ სფეროში, რომელსაც ფეხბურთი ეწოდება, თითქოს საერთოდ ვერ ერკვეოდნენ. მერედა, „ფლამენგოსა“ და „ვასკუს“ თამაში, როგორც წესი, ჩხუბს ნიშნავს. ხუთშაბათს ჩხუბები სტადიონზეც იყო და მის მიღმაც. თამაშის შემდეგ ვილაცებს იარაღიც კი გაუსროლიათ. შარშანდელი დერბის შემდეგ ჩემმა ერთმა გერმა, სხვათა შორის, 21 წლის ქალმა, აღმოაჩინა, რომ დაჭრილია. სროლა რომ უფრო და უფრო გახურდა, ის პანიკაში მანქანას ამოეფარა. მოგვიანებით, როდესაც მან პოლიციელს ჰკითხა, თავის დაცვის საუკეთესო საშუალება რა არისო, სამართალდამცავმა მიუგო, რომ თავის ყველაზე კარგი დაცვა სტადიონის დანახვაზე შორიდან მოვლაა და დაამატა, რომ რაც ბრაზილიურ ფეხბურთში ჩხუბი წესად იქცა, ის ქალის საქმე საერთოდ აღარ არის.

ასეა საქმე, რომელსაც ხშირად უბრალო მოქალაქენიცა და ოფიციალური პირნიც უყრუებენ, მაგრამ პერიოდულად გამონათებებსაც ვაწყდებით: უცბათ, სპორტული პრესის გასაკვირად, სტადიონზე ხალხი, თან ნაღდი, ნორმალური გამოჩნდება ხოლმე. რატომ და რასთან დაკავშირებით ხდება ასე? არავინ იცის, ამას ახსნა არა აქვს: არც თამაშის ხარისხი გაზრდილა, არც ინფრასტრუქტურა, არც ხალხი გამდიდრებულა, ბილეთები რომ იყიდოს... აი, ასე, უცებ გამოჩნდებიან ქომაგები და ახალ სიმღერებს მღერიან, ახალ შეძახილებს იძახიან.

სწორედ ამ უცნაურ დღეებში ჩანს, რომ ბრაზილიის ჩემპიონატს პერსპექტივა აქვს. ამას ვინმემ ხელი რომ ჩასჭიდოს და განავითაროს, ორგანიზება გაუკეთოს, სხვა სურათს მივიღებდით და მაშინ ბრაზილიურ ფეხბურთზე, როგორც ერთობლივ ფენომენზე, ლაპარაკიც შესაძლებელი გახდებოდა“.

**პაპუნა ძიძია**

# ბრაზილიური ევროპა


რონალდო და კაკა

**მილანელი** კაკა ევროპაში ბრაზილიური აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია. დღეს მთელი ყურადღება „ოქროს ბურთის“ მომავალ ფავორიტს ეთმობა, არადა, ბრაზილიას ჩემპიონთა ლიგაში 98 ფეხბურთელი ჰყავს, თითქმის იმდენივე, რამდენიც სამხრეთამერიკულ „კოპა ლიბერტადორესზე“ თამაშობს.

ცნობისთვის: ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში საფრანგეთი 64 ფეხბურთელითაა წარმოდგენილი, იტალია — 55-ით, ესპანეთი — 53-ით, პორტუგალია — 41-ით, გერმანია — 38-ით და ასე შემდეგ. ბრაზილიას კი, ამ მხრივ, კარგა ხანს ვერავინ დაეწევა. იანვარში ევროპული კლუბები ოკეანისგაღმიდან ახალ მეომართა ნაკადს მიიღებენ და ლიგაში მონაწილე კაკას თანამემამულეთა რიცხვი ალბათ მალე 100-ს გადააჭარბებს.

ბრაზილია წელიწადში ათასზე მეტ ფეხბურთელს უშვებს ევროპასა და სხვა ქვეყნებში ბედის მოსასინჯად. რიკარდო იზეკსონ დოს სანტოს ლეიტემ კი (კაკამ) „ლა გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში განაცხადა: „წარმომიდგენია, რა სიძლიერისაა ტურნირი, რომელშიც ერთად თავს 98 ძლიერი ბრაზილიელი ფეხბურთელი იყრის. ჩემპიონთა ლიგა უდავოდ საუკეთესოა მსოფლიოში“.

კაკამ, რონალდინიომ, რობინიომ და მათმა მეგობრებმა სამშობლოში ფეხბურთი უკიდურესად შემოსავლიან ბიზნესად გადააქციეს. „მამლუქებიდან“ მიღებულმა შემოსავალმა 2005 წელს 2004-ის მაჩვენებელს 55 პროცენტით აჯობა, ხოლო 2006-ისას და წლევანდელ მონაცემებს თუ შევადარებთ, სავარაუდოდ, მოგებაში განსხვავება კიდევ მეტით უნდა გაიზარდოს.

ბრაზილიელთა საფეხბურთო შემოსევა ყველა ევროპულ ქვეყანაში თვალში საცემია, მაგრამ ოკეანისკალმელები პორტუგალიაში მაინც ყველაზე მეტნი არიან. ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდთაგან ყველაზე უხვად ბრაზილიური სიმდიდრე ლისაბონის „სპორტინგს“ (7 ფეხბურთელი) მოუმარაგებია, მეორე-მესამე ადგილებს კი დონეცკის „შახტარი“ და იტალიური „მილანი“ იყოფენ (მათ 6-6 „ბრაზილიერო“) ჰყავთ.

რა გამოდის? ის, რომ წმინდა ევროპულ საკლუბო გათამაშებაში რიცხვობრივად სამხრეთამერიკელები დომინირებენ. საგულისხმოა, რომ მეორე სამხრეთამერიკულ გიგანტს ჩემპიონთა ლიგაში 32 ფეხბურთელი ჰყავს — არგენტინა ამ მონაცემით ინგლისს სჯობნის, ქვეყანას, რომელსაც იტალიასთან და ესპანეთთან ერთად, უფლება აქვს, 4 გუნდი გაიყვანოს.

**ლადო ხომერიკი**

## სასჯელთა სერია

**„იუვენტუსის“** მწვრთნელ კლაუდიო რანიერის და ჩეხ ლეგიონერ პაველ ნედვედს, შესაბამისად, ერთი და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. კვირას „ჯენოასთან“ შეხვედრის ბოლო წუთზე რანიერი მეოთხე მსაჯს ეჩხუბა, ხოლო ნედვედმა ნამატჩევს მეტოქეს იდაყვი უთავაზა.

გარდა ამისა, სადისციპლინო კომიტეტმა „კალიარის“ სტადიონიც ერთი მატჩით დახურა, რადგან „კატანიასთან“ თამაშისას ქომაგებმა მოედანზე მაშხალა ისროლეს. „კალიარი“ 15 ათას ევროსაც გადაიხდის.

## ჰიცფელდი გაგრძელდება

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ „ალგემაინე ცაიტუნგთან“ განაცხადა, რომ ოტმარ ჰიცფელდი მომავალ სეზონში კონტრაქტს გაახანგრძლივებს. მწვრთნელს ხელშეკრულება 2008-ის ივნისში უმთავრდება.

„დარწმუნებული ვარ, ჰიცფელდი დარჩება — თქვა რუმენიგემ — როცა ასეთ გუნდს თავკაცობ, ბედნიერი უნდა იყო. მან ფანტასტიკურად იმუშავა და იანვარში კონტრაქტის განახლებაზე აუცილებლად ვისაუბრებთ“.

## დროგბას იუვემ ჩააკითხა

**დიდიე დროგბას** აგენტი ეტიენ მენდი არ გამორიცხავს, რომ მისი კლიენტი „იუვენტუსში“ გადავიდეს. კოტდივუარელმა ფორვარდმა სეზონის ბოლოს „ჩელსიდან“ წასვლა გადაწყვიტა და მასზე ნადირობაც აქედანვე დაიწყო. მას „მილანის“ და „ინტერის“ ვარიანტებიც აქვს. მაგრამ აგენტმა თქვა: „საიდუმლო არაა, რომ დროგბას „მილანი“ მოსწონს, მაგრამ ჩვენ „იუვედანაც“ დაგვიკავშირდნენ და ამ ვარიანტსაც განვიხილავთ. დროგბა ან ესპანეთში, ან იტალიაში წავა სათამაშოდ“.

„იუვეს“ სპორტული დირექტორი ალესიო სეკო ლონდონშია და ამბობენ, ფრენკ ლამპარდის გადაბარებასთან ერთად კოტდივუარელის ტრანსფერსაც აგვარებს.

## რომარიოს დროებითი სკამი

**41 წლის** რომარიო „ვასკუ და გამას“ დროებით მწვრთნელად დანიშნეს მას შემდეგ, რაც სელსო როტი გადადგა.

1000 გოლის გამტანი ფორვარდი ბოლოს „ვასკუში“ თამაშობდა, მაგრამ რამდენიმე კვირაა, მოედანზე არ გამოჩენილა — მწვრთნელს ეხმარებოდა, ახლა კი როტის ადგილი დაიკავა.

კლუბის პრეზიდენტმა იურიკო მირანდამ განაცხადა: „რომარიო გუნდს უთავკაცებს მექსიკის „ამერიკასთან“ მატჩში, მაგრამ ჩვენ სხვა მწვრთნელს ვეძებთ და ხვალიდან ამ საქმეზე ვიმუშავებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური. დღეს

# დრო გავა და მიხვდება...

## დერბი დერბის შემდეგ: ბენიტესმა ჯერარდს მოუგო

**A ჯგუფი**

**ბეშიქთაში — ლივერპული**
**მარსელი — პორტუ**

**რაფაელ** ბენიტესი და სტივენ ჯერარდი შეკამათდნენ და მალევე შერიგდნენ. შაბათს მერსისაიდულ დერბიში მწვრთნელმა კაპიტანი 68-ე წუთზე შეცვალა, როცა ანგარიში 1:1 იყო. ჯერარდმა წყენა არ დამალა და ნამატჩევს თქვა: „ლივერპულელი ვარ და დერბი ჩემთვის მთავარი მატჩია. ამიტომაც მინდოდა ვყოფილიყავი მოედანზე ბოლომდე, როცა გამარჯვებისა გავიტანეთ. ლუკას ლეივა შევიდა ჩემს ნაცვლად და მეორე გოლი მისი დამსახურებაცაა. ყველაზე მთავარი კი მოგებაა“.

რაფაელ ბენიტესი: „როცა მწვრთნელი ხარ, მხოლოდ ფიქრით გუნდს ვერ უშველი, გადაწყვეტილებაც უნდა მიიღო. უნდა იფიქრო, როგორ მოიგო თამაში და ამ შემთხვევაში ჩემთვის ყველა ფეხბურთელი ერთია, ჯერარდი იქნება თუ ლეივა. მე უკვე ვესაუბრე ჯერარდს და პრობლემა მოგვარებულია. გასაგებია მისი წყენა, მაგრამ დრო გავა და მიხვდება, რომ იმ მომენტში შეცვლა სჯობდა“.

დღეს „ლივერპული“ სტამბოლში თამაშობს, სადაც მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგო. „ბეშიქთაშსაც“ და მის სტუმარსაც ჯგუფში თითო-თითო ქულა აქვთ, ამიტომ დანდობა არ იქნება. ჩაბი ალონსო და ფერნანდო ტორესი გამოკეთდნენ, რომლებმაც ტრავმის გამო „ევერტონთან“ მატჩი გამოტოვეს.

„ჩაბი და ფერნანდო მუდამ საჭირო ფეხბურთელები არიან და მიხარია, რომ გამოჯანმრთელდნენ — განაცხადა ბენიტესმა — ორშაბათს ივარჯიშეს და ვფიქრობ, „ბეშიქთაშთან“ თამაშს შეძლებენ. მათი დახმარება დროული იქნება, რადგან ზოგი ფეხბურთელი სანაკრებო მატჩების შემდეგ გადაღლილია“.

„ბეშიქთაშის“ მწვრთნელი ერტუღრულ საღლამი დისკვალიფიცირებულია და დღეს კუთვნილ სკამზე ვერ დაბრძანდება. 37 წლის თურქი წინა ტურში „პორტუსთან“ საშინაო შეხვედრისას გააძევეს და ერთმატჩიანი სასჯელი გამოუწერეს. სტამბოლურმა გუნდმა ჩემპიონატში გასულ უქმეებზე სტუმრად „ტრაბზონს“ 3:2 მოუგო, არადა, მეექვსე წუთზე 0:2-ს აგებდა.

„იოლი არაა ორბურთიანი სხვაობის გაბათილება და გამარჯვება „ტრაბზონის“ დარ გუნდთან“ — თქვა საღლამმა.

უცნაურია, მაგრამ „მარსელი“, რომელიც ჩემპიონატში ათი ქულით ბოლოდან მეოთხე ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფს ლიდერობს. ფრანგებმა პირველ ტურში შინ „პორტუ“ დაამარცხეს, მეორეში კი სენსაციურად, სტუმრად „ლივერპულს“ 1:0 სძლიეს. „ლივერპულთან“ მატჩში მათ ახალი მწვრთნელი, ბელგიელი ერიკ გერეტსი ხელმძღვანელობდა. გერეტსის ხელში „მარსელმა“ ნავსი გატეხა და კვირას ჩემპიონატში პირველი საშინაო შეხვედრა მოიგო — ბუდევეინ ზენდენის გოლით „ლანსთან“ 1:0.

„ჩემმა გუნდმა ვერ გაიბრწყინა — თქვა ბელგიელმა — მაგრამ იბრძოლა. ორი აუტსაიდერის თამაში მთლად კარგიც ვერ გამოვიდა“.

„მარსელს“ ცენტრალური მცველი ჟულიენ როდრიგესი, მეკარე სედრიკ კარასო და ნახევარმცველი სამირ ნასრი ტრავმის გამო დააკლდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |


ერიკ გერეტსი და მისი რაზმი
AFP

# ჩელსი გაძლიერდება

## შინაურ ვალენსიას გარეული სჯობს

**B ჯგუფი**

**რუსენბორგი — ვალენსია**
**ჩელსი — შალკე**

**ავრაამ გრანტს** შანსი აქვს, დაუმტკიცოს რომან აბრამოვიჩს, რომ „ჩელსის“ სათამაშო ყაიდა უკეთესობისკენ იცვლება და უფრო სანახაობრივი ხდება.

მოგება — აი, რა იყო მთავარი ჟოზე მაურინიუს დროს, მაგრამ რუსი მილიარდერი კოხტა ფეხბურთს ითხოვდა და გრანტმა პატრონის სურვილი უნდა შეასრულოს.

2003 წელს „ოლდ ტრაფორდზე“ „მანჩესტერმა“ 4:3 მოუგო „რეალს“ და აბრამოვიჩს ეს თამაში ისე მოსწონებია, რომ უთქვამს, „ჩელსიმაც“ ასე უნდა ითამაშოსო. „ჩელსის“ ფანებს ჯილდოები უხაროდათ და თამაშის სტილი დიდად არ ადარდებდათ, მაგრამ მილიარდერი სხვაგვარად ფიქრობდა.

ავრაამ გრანტს თავიდან ცოტა გაუჭირდა, თუმც ახლა „ჩელსიმ“ ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. ორი კვირის წინ გრანტს თანაშემწე მიუყვანეს — ჰენკ ტენ კატე „აიაქსიდან“, ვინაც „ჩელსის“ სათამაშო ფილოსოფიის შეცვლაში უნდა დაეხმაროს.

„დიდი ცვლილება მოხდება — თქვა ტენ კატემ — უფრო დიდი, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. მოედანზე იმ განწყობით კი არ უნდა გახვიდე, რომ არ წააგო, არამედ მხოლოდ მოსაგებად და თან ეს ლამაზად უნდა გააკეთო. ამ ცვლილებას ბევრი შრომა დასჭირდება, მაგრამ საბოლოოდ ყველა, ფეხბურთელებიც და ქომაგებიც კმაყოფილნი დარჩებიან. „ჩელსიმ“ დაახლოებით „ბარსელონასავით“ რომ ითამაშოს, საჭიროა დეკუ, ჩავი და ინიესტა, მაგრამ იმ ფეხბურთელებითაც შეიძლება სათამაშო ყაიდის შეცვლა, რომლებიც „ჩელსის“ ჰყავს“.

„ჩელსიმ“ პრემიერლიგაში შაბათს სტუმრად „მიდლსბროს“ 2:0 მოუგო დიდიე დროგბას და ალექსის გოლებით, დღეს კი „შალკეს“ უმასპინძლებს, რომელიც „ჰანზას“ 1:1 დაუზავდა. როსტოკელებმა გოლი მეკარე მანუელ ნოიერის შეცდომის წყალობით გაიტანეს, ხოლო მირკო სლომკამ ნამატჩევს განაცხადა: „ერთმა შეცდომამ მატჩის ხასიათი შეცვალა. ნოიერს ვესაუბრე, თუმც მსგავსი რამ შეიძლება, ნებისმიერ მეკარეს დაემართოს. „ბაიერნს“ უკვე ცხრა ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ“.


დიდიე დროგბა უხასიათობას არ უჩივის
AFP

„რუსენბორგი“, რომელიც ჩემპიონატში „ლილესტრიომთან“ სტუმრად 1:4 დამარცხდა, „ვალენსიას“ უმასპინძლებს. „ღამურებმა“ შაბათს ლა კორუნიაში „დეპორტივოს“ 4:2 მოუგეს და ფერნანდო მორიენტესმა დუბლი შეასრულა.

„ამ სეზონში გუნდმა სტუმრად გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე ნებისმიერ საშინაო მოგებულ მატჩში“ — თქვა „ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა.

„ლილესტრიომთან“ დამარცხებული გუნდის თავკაცმა კნუტ ტორუმმა კი განაცხადა: „ოთხივე გოლი ძალიან იოლად გაგვიტანეს, რადგან დაცვაში საშინლად ვითამაშეთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური. დღეს

# ფაქსით გამომიგზავნეთ!

## როსის მეასე ბრემენშია

### C ჯგუფი

**ვერდერი — ლაციო**

**რეალი — ოლიმპიაკოსი**

**მადრიდის** „რეალმა“ შაბათს „ესპანიოლთან“ სეზონში პირველი მარცხი იგემა, დღეს კი „ოლიმპიაკოსს“ დაუხვდება, რომელიც ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში ჯერ წაუგებელია.

ბერძნულ კლუბს სამჯერ უთამაშია „სანტიაგო ბერნაბეუზე“, მაგრამ არასოდეს მოუგია.

„როცა ლიგაში „ოლიმპიაკოსი“ გვხვდებოდა, იმ სეზონში ჩემპიონთა თასს ვიგებდით — გაიხსენა „რეალის“ მცველმა მიჩელ სალგადომ — ასე მოხდა 1997-98 და 1999-2000 წლებში“.

სინამდვილეში, „ოლიმპიაკოსს“ კი არა, „პანათინაიკოსს“ შეხვდნენ 2001-02-ის სეზონში და ჩემპიონთა ლიგა მოიგეს. „ოლიმპიაკოსი“ კი ბოლოს მადრიდში შარშანწინ იყო ჯგუფური ეტაპისას.

„ბევრს ლაპარაკობდნენ ამ ზაფხულს, რომ „რეალს“ მწვრთნელის შეცვლა ავნებდა, მაგრამ ჩვენ საწინააღმდეგო დავამტკიცეთ“ — განაცხადა სალგადომ და მოწმედ პრიმერადივიზიონის ცხრილი მოიყვანა. „რეალი“ პირველ ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგაში კი „ვერდერს“ შინ მოუგო და „ლაციოს“ სტუმრად დაუზავდა.

„სამეფო კლუბის“ ზოგმა ფეხბურთელმა „ესპანიოლთან“ მარცხი სანაკრებო მატჩებში გადაღლილობას დააბრალა.

უესლი სნეიდერმა დაიჩივლა: „ბიჭები აშკარად დაქანცულები იყვნენ და ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს“.



რეალელებს მოგების გარდა სხვა არაფერი სურთ

მაჰამადუ დიარამ და ფაბიო კანავარომ შაბათის მატჩში ტრავმები მიიღეს. თუ სადღეისოდ ვერ გამოკეთდებიან, მათ ფერნანდო გაგო და სერხიო რამოსი შეცვლიან. გაბრიელ ჰაინცე და არიენ რობენი დაშავებულნი არიან და გუნდს დააკლდებიან.

ორი წლის წინ „ოლიმპიაკოსმა“ მადრიდში 1:2 წააგო, გოლები კი რაულმა და სოლდადომ გაიტანეს.

ოლიმპიაკოსელმა რაულ ბრავომ განაცხადა, რომ ბრემენში გამარჯვება (3:1) შემთხვევითი არ იყო და ბერნდ შუსტერის გუნდს მძიმე ბრძოლა ელის. ხოლო შუსტერს „ესპანიოლთან“ მატჩის შემდეგ დაცვის თამაში დაუწუნეს, რაზეც გერმანელმა მიუგო: „ფაქსით გამომიგზავნეთ, რა უნდა გავაკეთო“.

დაცვას კი დღეს სამუშაო ექნება, რადგან ყოფილი სოსიედადელი დარკო კოვაჩევიჩი და სარაგოსელი ლუჩანო გალეტი შეუტევენ. „რეალს“ ახსოვს კოვაჩევიჩისგან გოლები, გალეტის კი 2004 წელს „სამეფო თასის“ ფინალში მადრიდელებისთვის გაუტანია.

„ჩვენ მადრიდში მოსაგებად ჩამოვედით. სამ ქულას თუ ავიღებთ, მერვედფინალს მივუახლოვდებით“ — თქვა ბრავომ, ვისაც „რეალში“ 11 წელი გაუტარებია.

„ოლიმპიაკოსმა“ ჩემპიონატში შაბათს „პანიონიოსი“ შინ 4:1 დაამარცხა. გოლები ლუალუამ, კოვაჩევიჩმა, სტოლტიდისმა და გალეტიმ მიითვალეს.

„ლაციო“ დელიო როსის ხელქვეით დღეს მეასე მატჩს გამართავს. რომაულ კლუბს მწვრთნელისთვის იუბილეზე გამარჯვების მიძღვნა სურს, მაგრამ „ვერდერთან“ მოგება იოლი არ იქნება. „მუსიკოსებს“ უკვე ორი თამაში აქვთ წაგებული და დღესაც თუ დამარცხდებიან, მერვედფინალში გასვლის შანსი თითქმის აღარ დარჩებათ. „ლაციომ“ სერია A-ში სტუმრად „ლივორნოს“ 1:0 მოუგო პანდევის გოლით, ხოლო „ვერდერმა“ ბუნდესლიგაში „ჰერტას“ — 3:2.

რომაელებს დღეს მასიმო მუტარელი და სტეფანო მაური დააკლდებათ, ხოლო ვალონ ბეჰრამის და გორან პანდევის თამაში საეჭვოა.

„ტრავმები სეზონის დასწყისიდანვე გვაწუხებს და ორი არჩევანი გვაქვს — ან უნდა ვიტიროთ, ან ვიბრძოლოთ მოსაგებად ყოველ მატჩში. ჩემი აზრით, დღეს ღია თამაში გამოვა, რადგან „ვერდერს“ დაცვაში დგომა არ სჩვევია“ — თქვა იუბილარმა როსიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

# ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ!

### D ჯგუფი

**ბენფიკა — სელტიკი**

**მილანი — შახტარი**

**კარლო ანჩელოტიმ** გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კაკას მუხლი მსუბუქად სტკივა და დღეს გაარკვევენ, ითამაშებს თუ ვერა. ბრაზილიელმა კვირას „ემპოლისთან“ მატჩი სწორედ მუხლის გამო გამოტოვა მას შემდეგ, რაც სამშობლოდან დაბრუნდა. „ემპოლიმ“ კი „სან სიროზე“ 1:0 იმარჯვა და იტალიური მედიაც ისევ ალაპარაკდა „მილანის“ კრიზისზე. გუნდმა სერია A-ს 8 ტურში ორი მატჩი მოიგო და მე-11 ადგილზეა.

„სელტიკთან“ შეხვედრაში თალლითობის გამო დასჯილი დიდა „მილანს“ ვერ დაეხმარება და მის ნაცვლად კარში ჟელკო კალაჩი ჩადგება.

39 წლის პაოლო მალდინიმ ტრავმა მოიშუშა. ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ მან პირველად კვირას „ემპოლისთან“ ითამაშა და დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„პრობლემები გვაქვს და მათ მოგვარება სჭირდება. ილაპარაკეთ კრიზისზე, რამდენიც გნებავთ. „მილანში“ ქაოსი არაა“ — უთხრა ადრიანო გალიანიმ ჟურნალისტებს.

„შახტარმა“ ჩემპიონთა ლიგაში ორი მატჩი მოიგო და დღეს „მილანსაც“ თუ დაამარცხებს, მერვედფინალისკენ ნაბიჯს გადადგამს. დონეცკური კლუბი ჯგუფიდან არასოდეს გასულა და მირჩა ლუჩესკუ ამ სეზონში მიზანთან ახლოსაა. „შახტარმა“ ზაფხულში 70 მილიონი დოლარი დახარჯა ტრანსფერებში და ნაირ-ნაირი ფეხბურთელი იყიდა, მათ შორის, „ლივორნოს“ ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი, რომელმაც ერთი კვირის წინ ორი გოლი გაიტანა სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში „სკუადრა აძურას“ მაისურით.

„მილანი“ და „შახტარი“ 3 წლის წინაც ერთად იყვნენ ჯგუფში. „შავ-წითლებმა“ შინ 4:0 მოიგეს, სტუმრად კი — 1:0.

დონეცკელებმა უკრაინის ჩემპიონატში გასულ უქმეებზე სტუმრად „კრივბასთან“ 0:1 წააგეს, მირჩა ლუჩესკუმ კი განაცხადა: „მეტოქემ ბოლო 25 წუთში აშკარად გვაჯობა და გამარჯვება დაიმსახურა“.

შაბათს „ოლდ ფირმში“ „რეინჯერსთან“ დამარცხებული „სელტიკი“ დღეს ლისაბონში „ბენფიკას“ ეთამაშება. ეს გუნდები შარშანაც გადაეყარნენ ერთმანეთს და პორტუგალიელებმა შინ 3:0 მოიგეს.

„სელტიკს“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად უჭირს — გასვლაზე არასოდეს მოუგია, მხოლოდ ერთხელ გაახერხა ფრე, 13-ჯერ კი წააგო.

სელტიკელმა გარი კოლდუელმა განაცხადა: „პირველი მატჩში, დონეცკში 10 წუთში დავმარცხდით, რადგან ორი გოლი სწრაფად გაგვიტანეს და ასეთი დონის შეხვედრაში თამაშის შემობრუნება ძნელია. სტუმრად უხეიროდ ვთამაშობთ, მაგრამ ამის გამოსწორება თავდაუზოგავი შრომითაა შესაძლებელი“.

გლაზგოელებს გამოუკეთდათ სტივენ მაკმანუსი, პოლ ჰარტლი და იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.



გორდონ სტრახანი და მისი „სელტიკი“

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



## ოქრო მთელი მსოფლიოსთვის

**„ფრანს ფუტბოლმა“** „ოქროს ბურთის“ კანდიდატთა 50-კაციანი ნუსხა გამოაქვეყნა.

ჯილდოს კაკას უწინასწარმეტყველებენ, რომელმაც წინა სეზონი საუცხოოდ ჩაატარა — ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ამ ტურნირის მთავარმეგოლეც გახდა.

სია კი ასეთია: ერიკ აბიდალი (ბარსელონა), დანი ალვეში (სევილია), დევიდ ბექჰემი (ლოს ანჯელეს გალაქსი), დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი), ჯიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფაბიო კანავარო, იკერ კასილიასი (რეალი), პეტრ ჩეხი (ჩელსი), როჟერიო სენი (სან პაულუ), კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი), დეკუ (ბარსელონა), მაჰამადუ დიარა (რეალი), დიეგო (ვერდერი), დიდიე დროგბა, მიკაელ ესიენი (ჩელსი), სამუელ ეტოო (ბარსელონა), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ფილიპო ინძაგი, კაკა (მილანი), ფრედერიკ კანუტი (სევილია), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), იანის მაჰმუდი (ალკმარი), პაოლო მალდინი (მილანი), ფლორენ მალუდა (ჩელსი), ლიონელ მესი (ბარსელონა), შუნსუკე ნაკამურა (სელტიკი), გილერმო ოჩოა (ამერიკა), ანდრეა პირლო (მილანი), რიკარდუ კვარესმა (პორტუ), რაული (რეალი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი), რობინიო (რეალი), რონალდინიო (ბარსელონა), უეინ რუნი, პოლ სქოულზი (მანჩესტერი), კლარენს ზეედორფი (მილანი), კარლოს ტევესი (მანჩესტერი), ლუკა ტონი (ბაიერნი), კოლო ტურე (არსენალი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ფრანჩესკო ტოტი (რომა), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი), რობინ ვან პერსი (არსენალი), დავიდ ვილია (ვალენსია).

ჯილდოს დაარსებიდან პირველად, ნუსხაში მოხვდნენ არაევროპული კლუბების ფეხბურთელები. „ფრანს ფუტბოლმა“ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ამიერიდან „ოქროს ბურთით“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს გამოავლენს და არა ევროპელს ან მხოლოდ ევროპაში მოთამაშეს, როგორც ადრე იყო. ამიტომაც არიან სიაში როჟერიო სენი, გილერმო ოჩოა და ერაყელი იუნის მაჰმუდი.

„ოქროს ბურთის“ პატრონს 2 დეკემბერს დაასახელებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თეთრი ტარზანი



სერხიო რამოსი მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ იგი უკვე მადრიდის „რეალის" ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ. დედაქალაქური გუნდის მცველმა „რეალის" შემადგენლობაში თავისი მეასე მატჩი ახლახან ჩაატარა, ხოლო მისი ოცნება ჩემპიონთა თასის მოგებაა... რამოსს „ასი" ესაუბრა...

## სერხიო რამოსი ბავშვობაში თავდამსხმელი იყო

— „ოლიმპიაკოსს" „ესპანიოლთან" გაუმართლებელი მარცხის (1:2) შემდეგ ხვდებით. აშკარაა, „რეალი" თავს კარგად ვერ გრძნობს...

— ბოლო ტურებში საქმე ისე არ მიგვიდის, როგორც ეს ჩვენ გვიინდოდა. ლამაზ ფეხბურთს ველარ ვაჩვენებთ. საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ და ჩემპიონთა ლიგაში დაუდევრობა არ უნდა დავუშვათ. ამ ტურნირში გუნდებს შეცდომები ძალიან მწარედ მოეკითხებათ.

— „ფიფას ვირუსმა", ანუ ფეხბურთელთა ნაკრებებში გამოძახებამ „რეალი" და „ბარსელონა" სხვებზე მეტად დააზარალა?

— ჩვენ „ესპანიოლთან" იმიტომ გავწვალდით, რომ მნიშვნელოვანი ფეხბურთელები, რობინიო და ბაპტისტა გვაკლდნენ. გარდა ამისა, სხვებიც, სნეიდერის და დიარას მსგავსად, სანაკრებო ჯახებიდან დაქანცულები და ტრავმირებულები დაგვიბრუნდნენ. „ფიფას ვირუსმა" მართლაც დიდი დარტყმა მოგვაყენა.

— თუმც ესპანელ ფეხბურთელებზე სანაკრებო მატჩებს იმდენად არ უმოქმედია...

— ეს თითოეულ ფედერაციაზე და ნაკრებზეა დამოკიდებული, რადგანაც არის ქვეყნად რაღაც, რისი ახსნაც არ შეიძლება. მაგალითად, ზოგი ფეხბურთელი კლუბს სხვებზე ადრე უბრუნდება, არადა, ის სხვებიც მისივე ნაკრების წევრები არიან. ამ განხრით ფედერაციათა წარმომადგენლებმა უნდა იმუშაონ, რადგანაც ასეთი არეულობა თანაგუნდელთა უპატივცემულობაზე მიუთითებს.

— რობინიომ და ბაპტისტამ რიოში გატარებული ფიესტის შემდეგ რა გითხრეს?

— თქვეს, რომ თვითმფრინავზე დააგვიანდათ და მადრიდში ამიტომ ვერ ჩამოვიდნენ. რაღა დაგვრჩენოდა და დავუჯერეთ. ყველანი ახალგაზრდები ვართ და შეცდომა ჩვენთვის უცხო არ არის.

— იმაზე რას იტყვით, რობინიოს, რონალდინიოს და ვაგნერ ლავს ორმოცი პრეზერვატივი რომ ალმოუჩინეს?

— ეგ რაღაც ძალიან ბევრი გამოდის და, ვფიქრობ, მედია აზვიადებს. თავისი საქმისა თვითონ იციან, ჩვენ კი იმაზე ლაპარაკს ვერიდებით, რამაც შეიძლება გუნდის ერთიანობას საფრთხე შეუქმნას.

— რობინიო უნდა დაჯარიმდეს?

— მე, როგორც რობინიოს თანაგუნდელი და მეგობარი, მას არ დავაჯარიმებდი, თუმცა კლუბმა ზომები უნდა მიიღოს, რადგანაც „რეალი" ყველა ჩვენთაგანზე მაღლა დგას. აქ რობინიოს ვერაფრით დავეხმარები.

— „რეალზე" ვისაუბროთ. ამ გუნდმა იცის, რას თამაშობს?

— მწვრთნელი ფეხბურთელებს სხვადასხვა პოზიციებზე ათამაშებს შესამოწმებლად და სტაბილურობა მართლაც არ არსებობს. ნებისმიერი იდეა, რომლის წყალობითაც თამაშს გამოვასწორებთ, ჩემთვის მისაღებია. გვინდა ლამაზად ვითამაშოთ და ამით გულშემატკივრებს სიხარული მივანიჭოთ. როტაციების ამბავი კი ბერნდ შუსტერს არ ეშლება.

— მოედანზე მუდმივად ყოფნით ხომ არ გაბეზრდით? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ იმ მცირერიცხოვან რეალელთა შორის ხართ, რომელთაც თამაში ყველა მატჩში უწევთ...

— ღმერთს მადლობა, რომ ასეთი რამ არ დამმართნია. სათამაშო წუთების სიუხვით პრობლემას არ განვიცდი. ცხადია, ასაკი მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამ მხრივ ახალგაზრდებს უპირატესობა გვაქვს. ვეტერანები გვეუბნებიან, რომ ახალგაზრდობას ყველა მატჩში შეგვიძლია თამაში, მხოლოდ მერე იჩენს თავს პრობლემები როცა ასაკში შედიხარ. ახლა ფიზიკურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

— მზად ხართ მოედნის ცენტრში თამაშისთვის?

— რა თქმა უნდა. მქონდა შესაძლებლობა, ამ პოზიციაზე ჯერ ვანდერლეი ლუშემბურგოსთან, შემდეგ კი ხუან რამონ ლოპეს კაროსა და ფაბიო კაპელოს მწვრთნელობისას მეთამაშა. ეს პოზიცია ყოველთვის მომწონდა, რადგანაც მოედანზე როგორც დაცვასთან, ასევე მოიერიშეებთან თანაბრად თანამშრომლობ. წინ წასვლის მეტი საშუალებაც გეძლევა, თუმცა დღევანდელ „რეალში" ბევრი ნახევარმცველია და ძნელია, ბერნდ შუსტერმა ამ პოზიციაზე თავის გამოჩენის საშუალება მომცეს. თუმცა ეს ჩემთვის პრობლემა არ არის.

## მანუჩარ მარკოიშვილი ოქროებს ბოლოს დაითვლის

მხოლოდ 21 წლისაა მანუჩარ მარკოიშვილი, თუმც ის ყველაზე ტიტულიანი ქართველი ლეგიონერია. იტალიურ „ბენეტონსა" და სლოვენიურ „ოლიმპიაში" მანუმ არაერთი ტიტული მოიგო და ახლაც საამისოდაა შემართული. ის ამ ზაფხულს გადავიდა „ბკ კიევში" და უკრაინის ჩემპიონობას უმიზნებს. მარკოიშვილმა უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშა ახალ გუნდში და არცთუ უშედეგოდ. ის ნელ-ნელა იკრეფს ძალას და რაც მთავარია, ჩვეულად სტაბილურია. უკრაინელი ჟურნალისტები, ცხადია, დაინტერესდნენ ქართველი უკანახაზელით და მას ამ დღეებში ინტერვიუც ჩამოართვეს, რომელიც ერთ-ერთ უკრაინულ გაზეთში ამ სათაურით გამოქვეყნდა: „მარკოიშვილი სლოვენიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ხუთეულში შედიოდა". ალსანიშნავია ის, რომ როცა უკარინელი ჟურნალისტი მანუჩართან ინტერვიუზე მივიდა, ქართველმა უკანახაზელმა ითხოვა, რუსულად კი არა, ინლისურად ვილაპარაკოთო

**— უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატისგან განსხვავებით, კალათბურთში ქართველი ლეგიონერების სიმწირეა...**

— ვიცი, მე ეს უკვე ვიგრძენი. მიუხედავად იმისა, რომ აქ თანამემამულეები არ მყავს, თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ. ძნელია, უკრაინულ ენაზე მოლაპარაკეთა გაგება, მაგრამ ბიჭები მეხმარებიან და ნელ-ნელა ალღოს ვუღებ. თანაც ქართული და უკრაინული მენტალიტეტი ერთმანეთთან ახლოა და თავს უცხოდ არ ვგრძნობ. კიევში ქართული რესტორნებიც საკმარისადაა.

**— როგორი შთაბეჭდილება გაქვს ახალ გუნდზე?**

— შესანიშნავი. მე კარგად ვიცნობ „ბკ კიევის" მწვრთნელ ტომი მაპორიჩს, რომელიც „ოლიმპიაში" მწვრთნიდა და ბევრი მსმენია მოთამაშეებზეც. ჩემი თანაგუნდელები ბევრს შრომობენ იმისთვის, რომ „ბკ კიევს" წარმატებები ჰქონდეს და არა იმიტომ, რომ ფული გააკეთონ. ჩემის მხრივ, მეც ცდას არ ვაკლებ, თუმც საკუთარი თამაშით ჯერ მთლად კმაყოფილი არ ვარ. გასულ სეზონში სლოვენიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ხუთეულში ვიყავი, თუმც „ბკ კიევში" უფრო მეტხანს სათადარიგოთა სკამზე ვზივარ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი წინაა და ჩემს ძალას მალე გამოვაჩენ. მართალია, უკრაინის ჩემპიონატი ახლახან დაიწყო, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მისი დონე იმავ სლოვენიურზე ძლიერია. კლუბების მატერიალური მხარდაჭერაც გაცილებით უკეთესია.

**— თქვენ ჯერ მხოლოდ 21 წლის ხართ, თუმც უკვე მოასწარით საქართველოს, იტალიის, სლოვენიის ჩემპიონატების მოგება...**

— იცით, როდესაც რამე ტიტულს მოვიგებ, ვცდილობ, ამაზე ალარ ვიფიქრო. დადგე და ითვალო შენი მიღწევები, ეს არასწორად მიმაჩნია. ამის დრო მაშინაც მექნება, როცა კარიერას დავასრულებ. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რაც შეიძლება, კარგად ვითამაშო და კიდევ მრავალ გამარჯვებას მივაღწიო.

**— რატომ მოხდა, რომ საქართველოს ნაკრები, რომელსაც არაერთ ყოჩაღ მოთამაშესთან ერთად, ნბა-ელი ზაზა ფაჩულიაც ჰყავს, ვერა და ვერ გადადის A დივიზიონში?**

— ერთი თვე საკმარისი არაა მოსამზადებლად. შეკრებაზე თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში ბევრი ხარვეზი აღმოჩნდა. მწვრთნელის ტაქტიკის შესაბამისად, ყველაფერი ფაჩულიაზე უნდა ყოფილიყო აწყობილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმეა.

**— კიევში გასეირნება უკვე მოასწარით?**

— დიახ, ცოტა გავისეირნე კიდეც. აქ ბევრი ლამაზი გოგო. საქართველოშიც კი არიან, მაგრამ აქ ლამაზმანები ძალიან ბევრნი არიან.

**— ოჯახი ჯერ არ შეგიქმნია?**

— ჩემი ოჯახია მამა, დედა და ძმა. სამწუხაროდ, სახლში ძალიან მცირე ხნით ვარ ხოლმე. არდადეგები მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 3 კვირა მაქვს, მაშინაც ეროვნულ ნაკრებში ვარ და ჩემს ნათესავებს ძალიან ვენატრები. მეც, რა თქმა უნდა.

## საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. I ტურის სტატისტიკა

# სტატისტიკაამ ყველაფერი იცის

ყველა სპორტის სახეობას აქვს სტატისტიკა, მაგრამ კალათბურთი სულ სხვანაირადაა სტატისტიკაზე დამოკიდებული. სპორტის ამ სახეობაში ბლომად მაჩვენებელია, რომელსაც მოთამაშე ყოველი მატჩისას იხვეჭს. კალათბურთი, ასე ვთქვათ, სტატისტიკური თამაშია და მისით არსებობს. არ არსებობს მწვრთნელი, რომელიც პირველ რიგში მოთამაშის სტატისტიკას არ აქცევდეს ყურადღებას. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ახლა ძალიან მონადინებულია ჩემპიონატის დონის ამაღლებით და სტატისტიკის ზუსტად დათვლისა და მისი საყოველთაობის გარეშე ეს ამბავი წარმოუდგენელია. ამიტომაც, ქართული კალათბურთის შეფებმა გადაწყვიტეს, რომ სუპერლიგის მატჩების სრული სტატისტიკა აწარმოონ და ამით სპორტის ამ სახეობას დამატებითი ინტერესი შესძინონ. ფედერაციაში ყოველი ტურის შემდეგ დაითვლიან სტატისტიკას, რომელიც პრესის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება გულშემატკივრისთვის. ასე და ამგვარად, ჩვენ ყოველ ოთხშაბათს შემოგთავაზებთ გასული ტურის ციფრებს და გამორჩეულ ამბებს. პირველი ტური იმდენად საინტერესო, ცხადია, არ იქნება, მაგრამ მერე და მერე სტატისტიკა უფრო მეტ ეშხს შეიძენს. ჩვენც მივყვეთ...



გიორგი შერმადინი

### ქულა

| | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 28.0 |
| 2. კოტე ტულუში (თბილავიამშენი) | 28.0 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 27.0 |
| 4. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 25.0 |
| 5. იოვან სტეფანოვი (ენერჯი ინვესტი) | 21.0 |
| 6. არჩილ ჟღენტი (დინამო) | 20.0 |
| 7. ბელტონ რივერსი (ენერჯი ინვესტი) | 19.0 |
| 8. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 17.0 |
| 9. გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი) | 14.0 |
| 10. შიო ხეცურიანი (თსუ) | 14.0 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 18.0 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 17.0 |
| 3. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 14.0 |
| 4. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 9.0 |
| 5. დავით ბერიშვილი (მაკაბი) | 8.0 |
| 6. ვახტანგ მინაშვილი (თბილავიამშენი) | 8.0 |
| 7. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 8.0 |
| 8. პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი) | 7.0 |
| 9. გიორგი მარკოიშვილი (ვითა) | 7.0 |
| 10. ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) | 7.0 |

### პასი

| | |
|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 7.0 |
| 2. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი) | 6.0 |
| 3. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 5.0 |
| 4. გიორგი მარხვაშვილი (ვითა) | 4.0 |
| 5. შიო ხეცურიანი (თსუ) | 4.0 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| 1. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი) | 5.0 |
| 2. დავით ბერიშვილი (მაკაბი) | 4.0 |
| 3. ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი) | 4.0 |
| 4. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 4.0 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 3.0 |
| 2. ანვარ ფერგიუსონი (ენერჯი ინვესტი) | 3.0 |

### წუთი

| | |
|---|---|
| 1. კოტე ტულუში (თბილავიამშენი) | 38:14 |
| 2. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 38:10 |
| 3. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 37:53 |

### დაკარგვა

| | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 8.0 |
| 2. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 7.0 |
| 3. გულივერ ახალკაცი (დინამო) | 6.0 |

## გუნდური სტატისტიკა

მეტი მოხსნა — 47, მაკაბი.
მეტი მოხსნა დაცვაში — 33, მაკაბი.
მეტი მოხსნა შეტევაში — 18, თბილავიამშენი.
ნაკლები მოხსნა — 33, ვითა.
მეტი პასი — 15, ვითა.
ნაკლები პასი — 4, დინამო.
მეტი ფოლი — 27, თბილავიამშენი.
ნაკლები ფოლი — 10, ენერჯი ინვესტი.
მეტი შეცდომა — 21, დინამო.
ნაკლები შეცდომა — 16, თბილავიამშენი.

## საინტერესო ფაქტები

1. „თბილავიამშენმა" „მაკაბისთან" 31 სამიანიდან მხოლოდ 5 გამოიყენა (16.1 პროცენტი). ხუთივე ზუსტი სროლა კოტე ტულუშის ანგარიშზე იყო, დანარჩენმა გუნდმა კი 18-დან 18 შორეული ტყორცნა გააფუჭა.

2. თორნიკე ნინიაშვილმა 17 წუთში უფრო მეტი დაკარგვა და ჯარიმა (2+4) დააგროვა, ვიდრე ქულა და მოხსნა (0+5)

3. მიხეილ ბერიშვილი პირველი ტურის ყველაზე ზუსტი მოთამაშე იყო: 7 სროლიდან 6 სამქულიანი, 5-დან 4 ორიანი და 2-და 1 საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა.

4. რიჩარდ მათიაშვილმა 24 წუთში შეტევაში ტურში ყველაზე მეტი, 6 მოხსნა დააგროვა.

5. „მაკაბისა" და „თბილავიამშენის" შეხვედრაში გიორგი შერმადინმა და ირაკლი ბერიშვილმა ჯამში იმდენივე ზუსტი საჯარიმო დააგროვეს (21), რამდენიც მთელმა „თბილავიამშენმა".

6. „ენერჯი ინვესტის" ლეგიონერებმა — იოვან სტეფანოვმა და ბელტონ რივერსმა მატჩი 10-10 ორქულიანიდან 7-7 გამოიყენეს. ერთმაც და მეორემაც მოედანზე 28-28 წუთი დაჰყო.

7. ერთადერთი მოთამაშე, ვისაც სტატისტიკურ ოქმში არცერთ გრაფაში 0 არ ეწერა, კოტე ტულუში იყო — 28 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 1 შეცდომა, 2 ზუსტი ორქულიანი და 5 სამქულიანი, 9 ზუსტი საჯარიმო.

8. ყველაზე დიდი გაქცევა მოაწყო „მაკაბიმ", რომელმაც „თბილავიამშენს" პირველ მეოთხედში 3 წუთი 11:0 მოუგო და 13:7 დაწინაურდა.

9. „მაკაბის" 208-სანტიმეტრიანმა ცენტრმა სოსო შერმადინმა „თბილავიამშენთან" მატჩი 4 მოხსნით დაასრულა, ხოლო 180-სანტიმეტრიანმა გამთამაშებელმა ირაკლი ბერიშვილმა კი 8 მოხსნით.

10. 6 გუნდიდან, პირველ დღეს სამქულიანები ყველაზე უკეთ „ვითამ" შეასრულა, რომელმაც სროლების 34.6 პროცენტი (26-დან 9) გამოიყენა.



ხუან მარტინ ერნანდესი ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა

**მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ საინფორმაციო საშუალებებმა ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებს გადახედეს და დიდი მონდომებით შეუდგნენ სიმბოლური გუნდების შედგენასა თუ პირობითი ჯილდოების ჩამორიგებას. სარაგბო გამოცემათაგან ჩვენ ყველაზე ავტორიტეტული ვებგვერდი შევარჩიეთ. გუშინ გაახლეთ მსოფლიოს თასის სიმბოლური 15-ეულის მისეული ვერსია, დღეს კი მის პრიზიორებს გაეცანით**

# საქართველო პატარებში გამოირჩა

***საუკეთესო ლელო:*** მსოფლიოს თასის 48 თამაშში ასობით ლელო გავიდა და ბევრი მათგანი ნამდვილად გადასარევი იყო. კარგი გამოდგა ბრაიან ჰაბანას პირველი ლელო არგენტინასთან ნახევარფინალში, ანაც ტონგოელი ვილიმონი დელასაუს ლელო უელსთან. სებასტიან შაბალმაც 50 მეტრი მარტომ იარა ნამიბიასთან და ასე დაამიწა ბურთი. მაგრამ საუკეთესოდ ჩათვალეს ამერიკელი ტაკუბკა ნგვენიას ლელო სამხრეთ აფრიკასთან, რომელმაც თვით ჰაბანა გააცურა და თავისი სოლოგარღვევით თამაშიც დაამშვენა და ტურნირიც.

***სარაგბო სული:*** ულაპარაკოდ პორტუგალიას ერგება ეს ჯილდო. ეს პატარა გუნდი თასის დებიუტანტია და ყველა თამაშიც წააგო, მაგრამ ლელო ყველაში გაიტანა და ოთხივე მატჩში ბოლომდე იბრძოლა. ახალმა ზელანდიამ ამ გუნდს 108 ქულა გაუტანა, მაგრამ პორტუგალიელებმაც ხომ გაუტანეს ლელოც, გარდასახვაც, საჯარიმოც და არეკნიც.

***ტურნირის საუკეთესო თამაში:*** ბევრი კარგი თამაში იყო ჯგუფებში. შეგვეძლო ჯილდო იაპონია-ფიჯის შეხვედრისთვისაც მიგვეცა. ქართველებიც გმირულად ეომნენ ირლანდიას, ისევე როგორც ტონგას სულ ცოტა დააკლდა სამხრეთ აფრიკასთან. მაგრამ ტურნირის საუკეთესო მატჩად ვაღიარეთ ფიჯისა და უელსის შეხვედრა, როდესაც ფიჯიმ ექვსი ერის მრავალგზის გამარჯვებული დაამარცხა და B ჯგუფში ჩატოვა.

***საუკეთესო პატარა:*** ამ პრიზის მფლობელი ისეთი გუნდებიდან უნდა აირჩეს, როგორებიც არიან საქართველო, ნამიბია, პორტუგალია და ტონგა და ჩვენც ყველას გავუყავით ეს წოდება. მსოფლიოს ჩემპიონატი ყველა მათგანმა თავისებურად დაამშვენა.

***მომავალი ვარსკვლავი:*** სამხრეთაფრიკელი ფრანსის შტეინი უკვე ვარსკვლავია, ავსტრალიელი ბერიკ ბარნსი კი მომავალში აუცილებლად გაბრწყინდება. მან უაღრესად საპასუხისმგებლო პოზიციაზე, 10 ნომერზე შეცვალა თვით სტივენ ლარქემი და ნამდვილად არ გაუფუჭებია გუნდის თამაში.

***ტექნიკური მოთამაშე:*** არგენტინელი ხუან-მარტინ ერნანდესის ბურთაობამ ბევრჯერ მოსწყვიტა ტრიბუნებს აღფრთოვანების შეძახილი. ის დამრტყმელადაა დაბადებული და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო 10 ნომერია.

***ტურნირის საუკეთესო მოთამაშე:*** არ გვინდა ციფრებს და მონაცემებს დავეყრდნოთ. ბრაიან ჰაბანას მხოლოდ სტატისტიკის გათვალისწინებით არ ვაღიარებთ საუკეთესოდ. კი, მან 8 ლელო გაიტანა და მსოფლიოს თასებზე ჯონა ლომუს რეკორდი გაიმეორა, მაგრამ „ქურციკების" გარემარბი დაცვაშიც ძალიან დამაჯერებელი იყო.

# მენდრიუს მეშტონი არ მთმობა



ბრაიან ეშტონი

**ინგლისელთა** 61 წლის დამრიგებელი ბრაიან ეშტონი ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე სავარაუდოდ 2011 წლამდე დარჩება. მხცოვანი მწვრთნელი „ვარდებს" სათავეში კრიზისის დროს ჩაუდგა და გუნდი მსოფლიოს თასის ფინალში გაიყვანა, რაც, რა თქმა უნდა, უდიდეს წარმატებად ჩაითვალა, როგორც გულშემატკივრებში, ასევე რაგბის ექსპერტებშიც.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე ბრაიან ეშტონი კაპიტან ფილ ვიკერისთან და ინგლისის რაგბის კავშირის თავჯდომარე რობ ენდრიუსთან ერთად შევიდა და ენდრიუმ მაშინ განუცხადა ჟურნალისტებს, ეშტონის პოსტზე დატოვება ჩვენს მომავალ გეგმებში შედისო.

„პირველ რიგში მინდა, მადლობა გადავუხადო ინგლისის ნაკრების წევრებს და მათ დამრიგებელ ბრაიან ეშტონს. მართალია, ფინალში დავმარცხდით, მაგრამ მოდით, რეალურად ვიმსჯელოთ — ეშტონმა არეული გუნდი ჩაიბარა. იმ მომენტისთვის „ვარდებს" ბოლო ცხრა თამაშიდან რვა წაგება ჰქონდათ და სიტუაციაც თითქმის გამოუსწორებელი ჩანდა. ეშტონის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგაც ნაკრები არასტაბილურად გამოიყურებოდა და ჯგუფურ ეტაპზე სამხრეთ აფრიკასთანაც დავმარცხდით, მაგრამ სიტუაცია ნელ-ნელა გამოსწორდა და საბოლოო ჯამში ფინალსაც ვუწიეთ, რაც მწვრთნელის უდიდესი დამსახურებაა. საქმე ისაა, რომ ჩვენ აჩქარებას არ ვაპირებთ. ყოველ შემთხვევაში, ნოემბრის ბოლომდე არაფერი შეიცვლება და ბატონ ეშტონს შეეძლება, წყნარად მიიღოს გადაწყვეტილება. ინგლისის რაგბის კავშირის მისდამი სიმპათიებს მე ვადასტურებ. ახლა სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ბრაიანზეა" — თქვა რობ ენდრიუმ.

პრესკონფერენციაზე ეშტონმა შეთავაზებულ წინადადებას ირიბად უპასუხა: — „ინგლისში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, რაგბის დიდი მომავალი აქვს. მე მიყვარს ჩემი საქმე და მსიამოვნებს მისი კეთება. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ბოლოს ჩემს მოთამაშეებს მინდა, ვუთხრა, რომ გმირები არიან და მეამაყება მათი".

**ზურაბ მიგრიაული**

# ტრავმიანი კაცი



**ჯონი უილკინსონის** ტრავმიანობის ამბავი მთელმა სარაგბო სამყარომ იცის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ვარდების" 10 ნომერს ნახევარფინალი და ფინალიც მტკივანი მარჯვენა ფეხით ჩაუტარებია. ტრავმა, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე სამხრეთ აფრიკასთან ჯახი გამოატოვებინა, თურმე სისტემატურად [illegible] ამჟამად ჯონი იმ სიტუაციაშია, რომ კიდევ [illegible] თავის კლუბში.

„ტრავმებმა გამაწამა, ახლა ოთხი კვირის განმავლობაში ისევ სახლში ჯდომა მომიწევს. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ სამოასთან მატჩში მოუშუშებელი ფეხით გავედი. შემდეგ გადავიტანე სამი უმძიმესი ბრძოლა: ავსტრალიასთან, საფრანგეთთან და სამხრეთ აფრიკასთან. ამიტომ ჩემმა ფეხმაც დატვირთვას ველარ გაუძლო და ტრავმაც გამიმიზეზდა. შედეგად ვაღიარებ, რომ ჩემი თამაში, ზოგადად ჩემპიონატში, არცთუ ეფექტური გახლდათ. ბევრი საჯარიმო და არეკნი გავაფუჭე. ფინალშიც ხომ საერთოდ ვერაფერი გავაკეთე" — გულდაწყვეტილი ამბობს ჯადო ჯონი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ტრავმირებულიც მშვენიერი მორაგბეა. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მასთან ერთად და უმისოდ მობურთალი „ვარდები" ორი სხვადასხვა გუნდია.

**ზურაბ მიგრიაული**

# ლოფრედამ ინგლისში კომფორტი ინდომა



**არგენტინელთა** სახელგანთქმული დამრიგებელი მარსელო ლოფრედა ინგლისური „ლესტერის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. პროფესიით მედიკოსმა სარაგბო სამყაროში უდიდეს წარმატებას მიაღწია. როგორც მოგეხსენებათ, „პუმები" მსოფლიო თასზე საპატიო და რაც მთავარია, დამსახურებულ მესამე ადგილზე გავიდნენ. ლოფრედა იმედოვნებს, რომ ჩემპიონატში მიღებული გამოცდილება ახალ კლუბში გამოადგება. მარსელო ამის შესახებ ჟურნალისტებს ესაუბრა: „ახლა უკვე ჩემს ახალ გუნდზე ვფიქრობ. ვეცდები, მსოფლიოს თასზე მიღებული გამოცდილება გამოვიყენო წარმატების მისაღწევად, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ნაჩვენები შედეგი ჩემი თანაშემწეების დამსახურებაცაა ამიტომ ვფიქრობ, ახალ გუნდში ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან ორი სპეციალისტი მივიწვიო. ასე თავს უფრო კომფორტულად ვიგრძნობ".

**ზურაბ მიგრიაული**

# არაიზოლირებულნი

**ახალ ზელანდიაში** საფრანგეთში განცდილ ფიასკოზე დღეს [illegible] მსჯელობს დიდი თუ პატარა. ცდილობენ გაარკვიონ, რა იყო იმის მიზეზი, რომ „კივებმა" ნახევარფინალში ვერ გააღწიეს. კუნძულელებს არა მარტო იმედები გაუცრუვდათ, არამედ დასცინებიც გახდნენ ჩემპიონატიდან ნაადრევად გავარდნის გამო. მათ კუბოში უკანასკნელი ლურსმანი, როგორც პრინციპულმა მოწინააღმდეგემ, სამხრეთ აფრიკამ ფინალში ინგლისის დამარცხებით ჩააჭედა.

წაგების ერთ-ერთ მიზეზად ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის თავმჯდომარე ჯოკ ჰობსმა მოთამაშეთა პრესისგან და გულშემატკივრებისგან არასაკმარისი იზოლაცია დაასახელა. ჰობსმა ისიც დასძინა, მორაგბეებს გვერდით უნდა დავუდგეთ და მათი ემოციები გავიზიაროთო.

**ზურაბ მიგრიაული**

# სკოლა, რომელიც უნდა გადარჩეს

**ქუთაისის** №14 ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლა ქართული სპორტის სამყაროში წარდგენას არ საჭიროებს. ჩვენმა სკოლამ, რომელიც 1976 წელს დაარსდა და რომლის პირველი დირექტორი იყო მსოფლიოში აღიარებული მწვრთნელი ჯემალ კოსტავა, აღზარდა ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური ჩემპიონები: თეიმურაზ აფხაზავა, გოგი კოღუაშვილი, დავით ხახალეიშვილი, დავით გობეჯიშვილი, აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე, გიორგი სალდაძე და სხვა სახელოვანი ფალავნები.

სკოლის მწვრთნელ-პედაგოგები თავისი საქმის ენთუზიასტები არიან. 1992-1998 წლებში, როცა ქართულ სპორტს გასაგები მიზეზების გამო ძალიან უჭირდა, ისინი, შეიძლება ითქვას უხელფასოდ, შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ, რათა სკოლის სახელოვანი ტრადიციები არ დარღვეულიყო.

ის ბრწყინვალე გამარჯვებები, რომლებითაც დღეს ამაყობს მთელი საქართველო, სწორედ მაშინდელი თავგანწირვის ფასად არის მოპოვებული. მრავალ მათგანს მრავალი ქვეყნიდან ჰქონდათ შეთავაზებები მაღალანაზღაურებადი კონტრაქტებით; მაგრამ მათ ბოლომდე უერთგულეს თავის სკოლას, რომლის მიერაც ბოლო წლებში აღზრდილები არიან:

გრიგოლ მამრიკიშვილი — მსოფლიოს თასის მფლობელი ძიუდოში

გელა სანიკიძე — მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი სამბოში

ილია ტყეშელაშვილი — მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში

თემურ ნეფარიძე — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სამბოში

ლევან კეზევაძე — მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

გოგიტა ჭინჭველაშვილი — ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

სერგო ნინუა — ევროპის ვერცხლის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

გიორგი მელქაძე — შავი ზღვის ქვეყნების ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში

ქალაქის სხვადასხვა სპორტულ სკოლებში სწორედ მე-14 სკოლის აღზრდილები მუშაობენ. სკოლის ხელმძღვანელობის გააზრებული პოლიტიკიდან გამომდინარე, გამუდმებით ხდება პერსონალის ახალი კადრებით შევსება, რათა შენარჩუნებული იქნას ტრადიციის ურღვევობა.

ამჟამად ქალაქ ქუთაისში იგეგმება სპორტული სკოლების ოპტიმიზაცია, რამაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს.

სკოლაში ამჟამად წვრთნას გადის 700-ზე მეტი მოსწავლე, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა უბნებში გაბნეულ დარბაზებში ვარჯიშობენ.

მწვრთნელების ერთ დაწესებულებაში თავმოყრა და აქედან გამომდინარე აღსაზრდელების რაოდენობის მკვეთრი ზრდა ფაქტობრივად საწვრთნელო პროცესების ჩაშლას გამოიწვევს, რადგან მეთოდური მუშაობა და ეფექტური კონტროლი შექმნილ პირობებში შეუძლებელი გახდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქუთაისის ხელმძღვანელობის მიმართ ჩვენი თხოვნა იქნებოდა, რომ სკოლის ხელმძღვანელი აირჩეს ღია კენჭისყრით თავად მწვრთნელ-პედაგოგების მიერ.

ამჟამად კულუარული ინფორმაცია არსებობს, რომ დირექტორად შეიძლება დაინიშნოს პიროვნება, რომელსაც განზრახული აქვს კომერციზაციის პროცესის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით ხაზს ვუსვამთ, რომ სპორტის ისეთი დისციპლინებისაგან განსხვავებით, როგორებიცაა მაგალითად ფეხბურთი, ჩოგბურთი, ჭადრაკი, მოცემულ სახეობაში, ანუ ჭიდაობაში ბავშვები მოდიან დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან, უბრალოდ რომ ვთქვათ ჭიდაობაში მოსული ბავშვი დიდ თანხას ვერ გადაიხდის. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, კომერციალიზაცია სპორტის ამ სახეობაში სხვა მეთოდებით თანდათან ნელი ტემპებით და რაც მთავარია, იმ პიროვნების მიერ უნდა განხორციელდეს, რომელიც სკოლის წამყვანი ავტორიტეტული მწვრთნელების მხარდაჭერით ისარგებლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დადებითის ნაცვლად კატასტროფულ შედეგებს მივიღებთ.

***ქუთაისის №14 ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლის მწვრთნელთა კოლექტივი***



# მთავარი შედეგია

**ანდრო ანდრიაშვილი ესპანეთის მე-3 ლიგაში „არანგა სორიაში" თამაშობს და ნაკრების ღირსება ბოლოს 1999 წელს დანიასთან დაიცვა. 8-წლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულ მოთამაშესთან, ბუნებრივია, ბევრი კითხვა გვქონდა, მით უფრო, რომ მის შესახებ ინფორმაცია არც კლუბთან დაკავშირებით გაგვაჩნდა. ესპანური ლიგა ევროპაში ერთ-ერთ გამორჩეულად ითვლება და წესით, მე-3 ლიგაშიც უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ მოთამაშემ გაზრდა შეძლოს**



— თავიდან „თელავში" ვიყავი, მერე მიყოლებით „ქარიშხალა", სტუ „ასკ" მოვიარე და 2000 წელს ბელგიაში წავედი. წელიწად-ნახევარი უმაღლესი ლიგის „საშაში" გავატარე და ესპანეთში გადავედი. გუნდში ძირითადის მოთამაშედ ვითვლები და სტაბილურად მიწევს მოედანზე ყოფნა. წლევანდელი სეზონი ნაყოფიერად დავიწყეთ, მხოლოდ ჩემი წამოსვლის წინ წავაგეთ ერთი თამაში და ახლა პირველ და მეორე ადგილოსნებს 4 ქულით ჩამოვრჩებით. მიზნად მინიმუმ მეორე ადგილზე გასვლა დავისახეთ, რათა მერე პლეი ოფში ვითამაშოთ და უფრო მაღალ დივიზიონში ასვლა მოვახერხოთ. იმის იმედიც გვაქვს, რომ რამდენიმე ტრავმირებული კაცი ჯერაც არ დაგვმატებია და როცა მოვლენ, უფრო მეტს შევძლებთ. გუნდი უფრო შეიკვრება და...

**— თვითონ ლიგას როგორ შეაფასებთ, რამდენად მაღალი დონეა?**

— ამ მხრივ კარგი სიტუაციაა, რადგან იქ ყველა ცდილობს უმაღლეს ლიგაში გადასვლას და ამისთვის არაფერს იშურებს. ხელბურთელები უმაღლესი ლიგიდან გადმოყავთ იმისთვის, რომ დასახულ მიზანს უწიონ.

**— ესპანეთში კიდევ ერთი ქართველია, გიორგი გვაზავა, მასზე თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— გიორგი კატალონიის ლიგის მე-2 დივიზიონის „ბორდილსში" თამაშობს და საკმაოდ ნორმალურადაც.

**— 8-წლიანი პაუზის მერე ნაკრებს დაუბრუნდით. რას იტყვით, შევძლებთ ფინალში გასვლას?**

— გუნდში შესანიშნავი ატომსფერო დამხვდა, აქ ყველა მოგებაზე ფიქრობს. მჯერა, კარგად გამოვალთ. ვეცდები, ძირითადში მოხვდე, თუმცა მთავარია, რომ ნაკრებმა მიაღწიოს შედეგს. ჩემი მიზანია, იმ დროში რასაც მწვრთნელები გამომიყოფენ, მაქსიმუმი გავიღო.

**ლევან მაისურაძე**

# ქანთურიას ფავორიტი საქართველოა

მაკედონიის „მეტალურგში" მოთამაშე **რევაზ ქანთურია** ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მისი კარგი თამაში. „მეტალურგი" წლეულს ჩემპიონობას უმიზნებს და ევროთასების პირველი ეტაპიც წარმატებით გადალახა. ქანთურიას ახლა ნაკრების დრო დაუდგა, იმედოვნებს, რომ აქაც კარგად წაუვა საქმე და ფინალში გასვლას შევძლებთ. უფრო დაწვრილებით კლუბისა და ნაკრების გეგმებზე გუშინ მოგვითხრო.

— წლეულს ჩემპიონობას ვუმიზნებთ. მთავარი კონკურენტი კი „ვარდარია", რომელსაც უკვე ვუმასპინძლეთ და 32:32-ზე დავშორდით. არადა, მოსაგები გოლი გავიტანე, 20 წამით ადრე კინკილა ქულით ვიგებდით, მაგრამ ანგარიში ვერ შევინარჩუნეთ. ამ თამაშში კარგად გავისარჯე, მაგ ბურთის გარდა კიდევ სამჯერ ვიხეირე.

ევროთასიდან კი კვიპროსული „სტოვოლოსი" გამოვაგდეთ. გასვლაზე 5 ბურთით წავაგეთ, რისი მიზეზიც მსაჯი, ცუდი პირობები და ალბათ სიცხეც იყო. მომდევნო დაპირისპირებაში კუნძულელები უშანსოდ დავტოვეთ, 13 ქულის სხვაობით ვაჯობეთ. კვიპროსში 3-ჯერ გავიტანე, მაკედონიაში აღარ გამიტანია. მომდევნო ეტაპზე შვედურ „სავეჰოფის" ვხვდებით.

**— ნაკრებზე რას იტყვით, საერთოდ, მეტოქეებს როგორ შეაფასებთ?**

— ფავორიტები ჩვენ ვართ, მერე მოლდოვა, აზერბაიჯანი და სომხეთი მოდიან. გუნდში საბრძოლო განწყობაა. აუცილებლად პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ და ამისთვის არაფერს დავიშურებთ. ისიც მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ ქვეყანაში ვითამაშებთ. გულშემატკივრების ფაქტორი ჩვენ სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. მაგალითისთვის, მაკედონიაში, როდესაც „ვარდარს" ვეთამაშეთ, სრული ანშლაგი იყო დარბაზში და ქომაგები მაგრად დაგვიდგნენ გვერდით. მჯერა, აქაც ასე იქნება.

**ლევან მაისურაძე**

# რატი ნაკრებს ფინალში ხედავს



**საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა რატი მსხვილიძეა, ვინც უკვე ორი თვეა, ისლანდიურ „სტიარნანში" თამაშობს და თან საკმაოდ კარგადაც. სამი დღეა, რაც რატი თბილისში ჩამოვიდა და ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს. ხელბურთის ქომაგებს ეხსომებათ მისი გარჯა ახალგაზრდულ ნაკრებში. მაშინ ჩვენი ჯგუფის თამაშები სპორტის სასახლეში იმართებოდა და მსხვილიძე იმ გუნდის გამორჩეული ლიდერი იყო. ხვალიდან „ჩელენჯტროფის" ტურნირი იწყება და მის კარგ თამაშზე ბევრი იქნება დამოკიდებული... რატის გუშინ შევხვდით და ნაკრების გარდა, საკლუბო ამბებზეც ვესაუბრეთ**

— გუნდმა ძალიან კარგად მიმიღო. ადაპტაციაში დიდი დახმარება როლანდ ერაძემ გამიწია, მას მთელ ქვეყანაში პატივს სცემენ. ახლაც ყველაფერში მეხმარება. ხშირად იხსენებენ ტიტე კალანდაძესაც და გულისტკივილით ამბობენ, რომ ტრავმის გამო თამაში არ შეუძლია.

**— ჩემპიონატზე რას გვეტყვით, როგორ გამოდიხართ და რამდენად ხშირად გიწევთ თამაში?**

— უკვე 6 ტური გაიმართა, აქედან 5 მოვიგეთ, ერთში კი დავმარცხდით, თუმცა ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი ტურნირის მოგება მოვასწარით — რეიკიავიკის ჩემპიონატში ვიმარჯვეთ. საკუთარი თავითაც კმაყოფილი ვარ, აქამდე 10 გოლამდე მექნება გატანილი. სათამაშოდ დიდ დროს არ მიყოფენ, რადგან ჯერ ცალკე, ინდივიდუალურად მამზადებენ. ასაკით გუნდში ყველაზე უმცროსი ვარ. წლეულს ჩემპიონობა და თასის მოგება გვაქვს მიზნად დასახული და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ.

**— ევროთასებიდან პირველივე წრეში გამოვარდით, მეტოქემ სულ მცირედით გაჯობათ...**

— უკრაინულ „ბრავართან" დასანანი მარცხი განვიცადეთ. შინ თამაში ქულით წავაგეთ, გასვლაზე კი ჩვენ ვაჯობეთ ერთი ბურთით, მაგრამ იმის გამო, რომ მეტოქემ ისლანდიაში მეტი გოლი გაგვიტანა, თასისთვის ბრძოლასაც ის გააგრძელებს.

**— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ, როგორია ჩვენი ჯგუფიდან გასვლის შანსი?**

— კარგი შემადგენლობა გვყავს. რაც მთავარია, ლეგიონერებიც სრულად ჩამოვლენ. წესით, ჯგუფიდან გასვლა უნდა შევძლოთ. თუ ფინალში გავალთ, იანვარში აუცილებლად ჩამოვალ სათამაშოდ. მე რაც შემეხება, მშვენიერ ფორმაში ვარ. რამდენს და როდის ვითამაშებ, ამას უკვე მამუკა მჟავანაძე გადაწყვეტს.

**ლევან მაისურაძე**

ველორბოლა

# კუნეგოს ლომბარდია, ევანსის პრო-ტური


დამიანო კუნეგო

**101-ე „ჯირო ლომბარდია“. პრო-ტურის სერიაში შემავალი ერთდღიანი კლასიკური რბოლა. 242 კმ**

| | |
|---|---|
| 1. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | 5სთ. 52 წთ. 48 წმ. |
| 2. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“) | |
| 3. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | |
| 4. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | |
| 5. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | ყველას იგივე დრო |

**პრო-ტურის სერიის საბოლოო რეიტინგი**

მრბოლები

| | |
|---|---|
| 1. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | 247 |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“ | 197 |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი“) | 191 |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი“) | 190 |
| 5. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 182 |
| 6. დენის მენშოვი (რუსეთი, „ლამპრე) | 172 |
| 7. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | 165 |
| 8. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი“) | 165 |
| 9. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 159 |
| 10. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, „კაისე დეპარნი“) | 145 |
| 11. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 135 |
| 12. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | 127 |
| 13. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“) | 120 |
| 14. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი“) | 118 |
| 15. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 111 |
| 16. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“) | 111 |
| 17. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 101 |
| 18. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) | 95 |
| 19. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | 88 |
| 20. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 88 |

**გუნდები:** 1. CSC (დანია) 392; 2. ლიქუიგასი (იტალია) 354; 3. კაისე დეპარნი (ესპანეთი) 337; 4. AG2R (საფრანგეთი) 324; 5. ქვიკ სტეპი (ბელგია) 310; 6. სონი დიუვალი (ესპანეთი) 306; 7. დისქავერი (აშშ) 300; 8. რაბობანკი (ჰოლანდია) 300; 9. ლოტო (ბელგია) 293; 10. ლამპრე (იტალია) 258

**ქვეყნები:** 1. ესპანეთი 849; 2. იტალია 728; 3. ავსტრალია 520; 4. რუსეთი 437; 5 ლუქსემბურგი 377; 6. გერმანია 337; 7. ჰოლანდია 293; 8. ბელგია 281; 9. აშშ 215; საფრანგეთი 180

**იტალიელი** დამიანო კუნეგოს გამარჯვებით დასრულდა პრო-ტურის სერიის ბოლო რბოლა, ერთდღიანი კლასიკური „ჯირო ლომბარდია“, რომელიც წლეულს ასმეერთედ ჩატარდა.

242-კილომეტრიანი რბოლის ბედი სულ ბოლო, ფინიშისწინა ალმართში გადაწყდა, როდესაც კუნეგო და მეორე იტალიელი რიკარდო რიკო მცირედით მოწყდნენ ძირითად ჯგუფს და ამ ორის საფინიშო ბრძოლაში კი „ლამპრეს“ მრბოლი უფრო მარდი აღმოჩნდა.

მესამე ადგილზე ესპანელი სამუელ სანჩესი გავიდა,ხოლო მეექვსე კედელ ევანსი იყო და მასზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ 2007 წლის პრო-ტურის სერია, სწორედ ამ ავსტრალიელის გამარჯვებით დასრულდა.

პრო-ტურს რეიტინგში ძალზე დიდხანს წლევანდელი „ჯიროს“ იტალიელი ჩემპიონი დანილო დი ლუკა ლიდერობდა, მაგრამ ამ ცოტახნის წინ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა დი ლუკა სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის თავკაცებმაც, იტალიელი ეგრევე ამოიღეს რეიტინგიდან. თუმცა, ასეც რომ არ მომხდარიყო და ლუკასთვის ქულები არ გაეუქმებინათ, ევანსი ლომბარდიაში დაკავებული მეექვსე ადგილით და ამ ადგილის სარგო ქულებთ დი ლუკას მაინც გადაასწრებდა.

სნუკერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუ პირველად

**არნახულად** დრამატული და საინტერესო გამოდგა 2007-08 წლების სეზონის მეორე სარეიტინგო ტურნირი, შოტლანდიურ აბერდინში გამართული „დიდი პრიზი“.

ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე უამრავი სენსაცია მოხდა და რამდენიმე ფავორიტმა პლეი ოფს ვერ უწია. მოულოდნელობების სიმცირე არც შემდგომ იგრძნობოდა. პლეი ოფის პირველივე ეტაპზე, ანუ მერვედფინალში გამოეთიშა ბრძოლას მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და მიმდინარე რეიტინგის ლიდერი ჯონ ჰიგინსი. მეოთხედფინალში მისი ბედი მსოფლიოს ექსჩემპიონმა პიტერ ებდონმაც გაიზიარა და შედეგად, ნახევარფინალში ელიტარული სნუკერისტებიდან მხოლოდ ორნი გავიდნენ — ინგლისელები, რონი ოსალივანი და შონ მერფი. თანაც, ნახევარფინალში ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ხოლო მეორე ფინალისტის ვინაობა ჯერარდ გრინისა და მარკო ფუს ბრძოლაში გაირკვევა.

ორივე ნახევარფინალი სრული პროგრამით ჩატარდა, ანუ გამარჯვებულები მხოლოდ ბოლო, მე-11 ფრეიმებში გამოვლინდნენ.

მსოფლიოს შარშანწინდელი ჩემპიონი მერფი ორგზის ტიტულოსან ოსალივანს 5:2 უგებდა და დარჩენილ ფრეიმებში არაერთხელ იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ბლომად შეცდომა დაუშვა, რითაც რონიმ ბრწყინვალედ ისარგებლა, ზედიზედ ოთხი ფრეიმი მოიგო და ფინალს უწია.

გრინიც 2:0 იგებდა ფუსთან, მაგრამ შემდეგ ჰონკონგელმა იძალა და დრამატულ მე-11 ფრეიმში გამარჯვებასაც მიაღწია.

ფინალში ფავორიტად სნუკერის ჯადოქარი ოსალივანი ითვლებოდა, მაგრამ საწყისი ოთხი ფრეიმის შემდეგ ფუ 3:1 დაწინაურდა. რონი თითქოს გამოფხიზლდა და ზედიზედ ოთხი ფრეიმის მოგებით 5:3 გაიჭრა წინ. ჰონკონგელი არ დანებდა და ახლა მან გამოაცხო ოთხფრეიმიანი სერია — 7:5 ფუს სასარგებლოდ. ოსალივანმა ერთი გაიბრძოლა, ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მარკო შეუდარებელი იყო — ჰონკონგელმა შემდეგი ორი პარტია და, შესაბამისად, მთლიანად მატჩიც თავის სასარგებლოდ, 9:6 დაასრულა და თავის ცხრაწლიან სპორტულ კარიერაში პირველი სარეიტინგო ტურნირი მოიგო.

**სნუკერისტთა მსოფლიო რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 42250 |
| 2. გრემ დოტი (შოტლანდია) | 37775 |
| 3. შონ მერფი (ინგლისი) | 37700 |
| 4. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 35800 |
| 5. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 34500 |
| 6. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 33550 |
| 7. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 33125 |
| 8. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 32475 |
| 9. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 30800 |
| 10. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 30550 |
| 11. მარკ სელბი (ინგლისი) | 27400 |
| 12. მარკ უილიამსი (უელსი) | 27150 |
| 13. სტივ ლი (ინგლისი) | 26150 |
| 14. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 24950 |
| 15. სტივ დევისი (ინგლისი) | 24950 |
| 16. რაიან დეი (უელსი) | 24500 |
| 17. ჯო სვეილი (ჩრდ. ირლანდია) | 24350 |
| 18. ჯო პერი (ინგლისი) | 23925 |
| 19. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) | 23750 |
| 20. მეტიუ სტივენსი (უელსი) | 23550 |

ძიუდო

# ხაბარელმა ათეული დარაზმა

## ევროგუნდი მინსკში გამოჩნდება

**ქართველი** ძიუდოისტები გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრში რომ გადიან შეკრებას, რამდენიმე დღის წინ დავწერეთ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი შეგირდებს სეზონის დამაგვირგვინებელი გუნდური ტურნირისთვის, ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებს.

ტურნირი მინსკში 27 ოქტომბერს დილით დაიწყება და საღამოსთვის უკვე ჩემპიონ-პრიზიორებიც გაირკვევა. საქართველოს ნაკრების გარდა ბელარუსულ ტატამზე მასპინძლები, ფრანგები, უკრაინელები, უნგრელები და რუსები გავლენ. სავარაუდოდ ეს ექვსი გუნდი ორ ქვეჯგუფში გადანაწილდება და პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალში დაეჭიდებიან. თუმცა ეს სქემა ჯერ მაინც დასაზუსტებელია. გამორიცხული არაა, მონაწილეთა წინასწარ სიას რომელიმე ნაკრები გამოაკლდეს და ტურნირის ფორმატიც შეიცვალოს.

ხაბარელის გუნდი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია და თქმაც არ უნდა, მინსკის ევროპირველობაზეც მთავარი ფავორიტი იქნება. ამას მწვრთნელის მიერ უკვე დასახელებული ოპტიმალური შემადგენლობაც ადასტურებს. ბელარუსში კიმონოს საუკეთესო ქართველი ძიუდოისტები მოირგებენ. სულ კი სამინსკე განაცხადი ათკაციანია.



სამ წონით კატეგორიაში ჩვენს ნაკრებს ორ-ორი კაცი ეყოლება. 60 კილოგრამში ნესტორ ხერგიანი და ბეთქილ შუკვანი იჭიდავებენ, 66-ში — ზაზა კედელაშვილი და მინდია ხომიზური, ხოლო 81-ში — გიორგი ბანდურაშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი. დანარჩენ ოთხ წონაში კი საქართველოს ღირსებას დავით ქევხიშვილი (73კგ), ირაკლი ცირეკიძე (90კგ), ლევან ჟორჟოლიანი (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100კგ) დაიცავენ.

გლდანური შეკრება კიდევ სამ დღეს გასტანს. ბელარუსში კი ხაბარელი და მისი გუნდი ტურნირის წინა დღეს გაემგზავრებიან.

**ოთარ გალლაკელიძე**

ჰოკეი

**რეგულარული ჩემპიონატი**

22 ოქტომბერი

**კაროლინა 3:1 ვანკუვერი**

*0:0 1:0 2:1*

1:0 სტილმანი (26), 2:0 ლაროუზი (48), 2:1 მორისონი (54), 3:1 უიტნი (60)

**მონრეალი 6:1 ბოსტონი**

*1:0 2:0 3:1*

1:0 ჰიგინსი (13), 2:0 კოვალიოვი (27), 3:0 ბეჟინი (38), 4:0 ბრიზგუა (42), 4:1 უაიდმანი (47), 5:1 გრაბოვსკი (50), 6:1 მარკოვი (53)

**კალგარი 1:4 სან ხოსე**

*0:1 0:2 1:1*

0:1 კლოუ (20), 0:2 მიხალეკი (28), 0:3 ბერნიე (37), 0:4 მიხალეკი (46), 1:4 ლენგკოუ (58)

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფუხელ

### E ჯგუფი

**რეინჯერსი 0:0 ბარსელონა**

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, ვეირი, პაპაჩი, კუელიარი, ფერგიუსონი, ტომსონი, ნოვო (ბისლი 72), ედამი, მაკკალოხი, კუზინი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ბარსელონა: ვალდესი, ტურამი, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ინიესტა, გუდიონსენი, რონალდინიო, მესი, ანრი (დოს სანტოსი 82)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ტომსონი, მილიტო, პაპაჩი, აბიდალი, ვეირი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
50 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:2 ლიონი**

0:1 ფაბიო სანტუში (56), 0:2 ბენზემა (79)
შტუტგარტი: შეფერი, ოსორიო, ტასკა, ფ. მეირა, ჰილბერტი, მაისნერი (ხედირა 62), ბაშთურქი (ევერტონი 71), პარდო, ფარნერუდი, კაკაუ, გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
ლიონი: ვერკუტრე, რევეილიერი, ანდერსონი, სკილაჩი, გროსო, კალსტრიომი, ჟუნინიო, ფაბიო სანტუში, ბენზემა (ბოდმერი 84), გოვუ (კლერკი 86), ბენ არფა (ა. კეიტა 74)
მწვრთნელი: ალენ პერენი
გაფრთხილება: კალსტრიომი, ჰილბერტი, ხედირა, ვერკუტრე, კაკაუ
მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატიშტა (პორტუგალია)
50 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### F ჯგუფი

**რომა 2:1 სპორტინგი**

1:0 ჟუანი (15), 1:1 ლიდსონი (18), 2:1 ვუჩინიჩი (70)
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, კასეტი, ჟიული (ბრიგი 73), მანსინი (სისინიო 87), ტოტი (ვუჩინიჩი 35)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
სპორტინგი: ტიაგო, რონი, ტონელი, მიგელ ველოზო, აბელი, იზმაილოვი (ონორატო 81), ვუკჩევიჩი (პარედესი 71), მუტინიუ, რომანიოლი, დიალო (პუროვიჩი 77), ლიდსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: კასეტი, ტონელი, ვუჩინიჩი, მუტინიუ, ჟუანი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
60 000 მაყურებელი

**დინამო 2:4 მანჩესტერი**

0:1 ფერდინანდი (10), 0:2 რუნი (18), 1:2 რინკონი (33), 1:3, 1:4 რონალდუ (41, 68პ), 2:4 ბანგურა (78)
დინამო: შოვკოვსკი, დიაკიტე, გიოანე (მილევსკი 46), გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, კორეა (როტანი 83), რინკონი, გუსევი, იუსუფი, ბანგურა, შაცკიხი (ბელკევიჩი 46)
მწვრთნელი: იოჟეფ საბო
მანჩესტერი: ვან დერ სარი (კუშჩაკი 80), ბრაუნი,- ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ოში, ანდერსონი, გიგზი (სიმპსონი 80), რუნი, ტევესი (ნანი 73)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: დიაკიტე
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

### G ჯგუფი

**ცსკა 1:2 ინტერი**

1:0 ჟო (32), 1:1 კრესპო (52), 1:2 სამუელი (80)
ცსკა: მანდრიკინი, ვ. ბერეზუცკი (გრიგორიევი 45), იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ალდონინი, დუდუ (ედუარდო 42; იანჩიკი 76), დანი კარვალიუ, კრასიჩი, რახიმიჩი, ჟირკოვი, ჟო
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
ინტერი: ჟულიო სეზარი, ძანეტი, კორდობა, სამუელი, მაქსველი, ფიგუ, ვიეირა (სტანკოვიჩი 17), კამბიასო, დაკური (სოლარი 77), კრესპო (კრუზი 62), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფიგუ, დანი კარვალიუ, სოლარი
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
30 000 მაყურებელი

**პსვ 0:0 ფენერბაჰჩე**

პსვ: გომეში, კრომკამპი, სალსიდო, ადო (ზონეველდი 58), მარსელისი, სიმონსი, მენდესი (კუვერმანსი 58), პერესი, ბაკალი (აისატი 78), ლაზოვიჩი, ფარფანი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ფენერბაჰჩე: ვოლქანი, ლუგანო, დრაჩენა, გოხანი, რ. კარლოსი, ვედერსონი, მეჰმეთი, ალექსი (ბილგინი 35), დენიზი, სემიჰი (კაზიმ-რიჩარდსი 72), დეივიდი
მწვრთნელი: ზიკო
გაფრთხილება: მარსელისი, მეჰმეთი, ლაზოვიჩი, დენიზი, ლუგანო, ფარფანი
გაძევება: დეივიდი (66)
მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

### H ჯგუფი

**არსენალი 7:0 სლავია**

1:0 ფაბრეგასი (5), 2:0 გლები (24), 3:0 უოლკოტი (41), 4:0 გლები (51), 5:0 უოლკოტი (55), 6:0 ფაბრეგასი (58), 7:0 ბენდტნერი (89)
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ებუე, ფაბრეგასი, ფლამინი (ჟილბერტო სილვა 63), გლები (როსიცკი 53), ადებაიორი (ბენდტნერი 63), უოლკოტი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სლავია: ვანიაკი, ჰუბაჩეკი, ჰუდილი, სუჩი, კრაიჩიკი, ტავარეში (ბელაიდი 62), შვეცი, სენკერიკი, ივანა (ვოლეშაკი 55), კალივოდა (იაბლონსკი 46), ვლჩეკი
მწვრთნელი: კარელ იაროლიმი
გაფრთხილება: ფლამინი, კლიში, გლები, ვოლეშაკი
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
59 000 მაყურებელი

**სევილია 2:1 სტიაუა**

1:0 კანუტე (5), 2:0 ლუიშ ფაბიანო (17), 2:1 პეტრე (63)
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, ადრიანუ, ხესუს ნავასი, პოულსენი, კაპელი (მარტი 85), ს. კეიტა, კანუტე (რენატო 71), ლუიშ ფაბიანო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
სტიაუა: საპატა, გოიანი, რადა, ემეგარა, მარინი, პეტრე, ნიკოლიტა, კრონტორუ, სურდუ (ნიაგა 46), დიკა (ბადეა 46), იაკობი (ზახარია 71)
მწვრთნელი: მასიმო პედრაცინი
გაფრთხილება: მარინი, კეიტა, ადრიანუ, კრონტორუ, ზახარია
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 9 |
| სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:12 | 3 |
| სტიაუა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

# არსენალმა ყველაზე მსხვილად ისროლა
## ფიგუ ლიგაშიც დაბერდა

„ლიონთან" საშინაო მარცხის მერე „შტუტგარტს" თეორიული შანსი კიდევ შერჩა ჯგუფიდან გასვლისა, მაგრამ ეჭვი გვაქვს, შტუტგარტშიც არ მოიძებნება კაცი, ამის რომ სჯეროდეს.

ისე კი, „შტუტგარტი" იქით იყოს და, ამ ჯგუფში მთავარი მატჩი მეორე იყო. „ბარსელონა" ყველა მხრიდან მიუდგა „რეინჯერსს", მის კარს კი გასაღები ვერ მოარგო. თანაც, ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე — იერიშებში გართულ კატალონიელებს სქოთებმა რამდენჯერმე იქით ისე შეუტიეს, ლამის თავბედი აწყევლინეს. ბოლო წუთებზე კი ორივე გუნდი დამშვიდდა და საქმე ფრთხილად მიიყვანა ფრემდე. კაცმა რომ თქვას, ეს ანგარიში არც ერთი მათგანისთვის ურიგო შედეგი არ იყო — „ბარსამაც" და „რეინჯერსმაც" თითო ნაბიჯით წაიწიეს მერვედფინალისკენ.

და ეპიზოდიც, რომელზეც აზრის მოსმენა კიდევ მოგვიწევს — პირველ ტაიმში ჰატონს რონალდინიოს დარტყმული ხელზე მოხვდა. პენალტი აშკარა იყო, მაგრამ მსაჯიც აშკარად შეცდა.

G ჯგუფში ისედაც ფრიად დაძაბული ვითარება კიდევ უფრო დაძაბული იქნებოდა, მოსკოველთა მეკარე მანდრიკინს მიუტევებელი შეცდომა რომ არ დაეშვა. ფიგუს ჩაწოდებულ ჯარიმას სამუელმა კარგა შორიდან დაჰკრა თავი. მანდრიკინს ძალიან უბრალოდ შეეძლო ამ ბურთის აღება, მაგრამ აუხსნელ მიზეზთა გამო მხარში მოხვდა და კარში გავიდა. არადა, რუსები ჟოს გოლით იგებდნენ კიდეც და მილანელები ერთ ხანს, არათუ მომგები, გამთანაბრებლებიც არ ჩანდნენ.

ნამატჩევს კი ვალერი გაზაევმა ბრაზით თქვა, ასეთი შეცდომების მერე გამარჯვების იმედად როგორ უნდა ვიყოთო. სამ მატჩში ეს არმიელთა მეორე უხეში შეცდომა იყო.

ჰო, ფიგუ ვახსენეთ და, პორტუგალიელისთვის ეს მეასე მატჩი იყო ჩემპიონთა ლიგაში. დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგით ბევრი ვერ დაიკვეხნის.

სამი მატჩი, სამი მოგება და ბურთების ფანტასტიკური შეფარდება 11:0. ვერ ვიხსენებთ, ლიგაში ვინმეს ოდესმე ასეთი შედეგი ჰქონოდეს. ეს „არსენალია", რომელსაც რამდენიმე თვის წინ ტიერი ანრის წასვლას ვუსამძიმრებდით და გაირკვა, რომ შესაბრალებელი არაფერი ჰქონია.

7:0 „სლავიასთან" ლონდონელთა უმსხვილესი გამარჯვებაც არის ჩემპიონთა ლიგაში და რაც უფრო მნიშვნელოვანია, არსენ ვენგერის გუნდმა ლიგასა თუ პრემიერლიგაში მიჯრით მეთორმეტე თამაში მოიგო.

ამავე ჯგუფში „სევილიამ" „სტიაუა" დასცა. პირველ ტაიმში რუმინელები არაფრის მაქნისნი ჩანდნენ, მეორეში — თამაში რამდენადმე გამოასწორეს, მაგრამ გადარჩენა ვერ შეძლეს. ხოლო სევილიელებმა თავიანთ უნიკალურ სერიას ერთიც შემატეს — ბოლო 37 საშინაო საევროთასო მატჩიდან ოდენ ერთში დამარცხდნენ.

ბურთების შეფარდება ნაკლებად შთამბეჭდავი აქვს, თუმცა მესამე თამაში მოიგო კიდევ ერთმა ინგლისურმა გუნდმა „მანჩესტერმა". კრიშტიანუ რონალდუს დუბლს რიო ფერდინანდის და უეინ რუნის გოლები შეეშველნენ და კიეველთა ორ საპასუხოს ფასი დაუკარგეს. აქვე ვახსენოთ რაიან გიგზიც, ვინაც ორი საგოლე პასი მიითვალა.

**ძოტე ძეძელია**


რომაელი მირკო ვუჩინიჩის გადამწყვეტი გოლი

AFP



AFP

### ინგლისი

ჩემპიონატი. XII ტური
ბარნლი 2:1 ნორვიჩი
ძოვენთრი 0:3 უოტფორდი
იფსვიჩი 3:1 კოლჩესტერი
ლესტერი 0:1 შეფილდი
პრესტონი 0:0 ქუინზ პარკი
უენსდი 1:2 სკანთორპი
ვესტ ბრომვიჩი 2:1 ბლეძპული
ჩარლტონი 1:2 პლიმუთი
ძრ. პალასი 1:3 სტოკი

LDV VANS TROPHY
II ეტაპი
დონკასტერი 3:0 ოლდემი

### ხორვატია

თასის მერვედფინალი
ბიელოვარი 1:1 (2:4პ) ვარტეძსი
ციბალია 2:1 ოსიეკი
ჰაიდუკი 2:0 კროაცია
ინტერი 1:0 პოდრავინა

### იტალია

სერია B. გადადებული მატჩი
ბრეშა 0:3 მანტოვა

### ავსტრია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები
აუსტრია (მ) 2:1 ლეოზენი
ბად აუზეე 1:3 ძერნტენი

### პოლონეთი

ლიგის თასი. III ტური
პოლონია 3:2 ლეხი
ლოძი 1:3 რუხი
ზაგლებე 3:3 ოდრა
ძრაკოვია 1:0 ძორონა
იაგელონია 3:1 ვიძევი
გურნიკი 1:0 ბელხატუვი

### უნგრეთი

თასის მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩი
შეძშარდი 0:4 ინტეგრალი

### სლოვაკეთი

თასის მეოთხედფინალი
I მატჩები
ძოშიცე 2:0 სლოვანი


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნაწობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აბელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge